

აბასთუმნის
ასტროფიზიკური ობსერვატორია

LXIII

ასტრონომიული
კალენდარი
(ნელინდაული)

2023



ინტელექტი
თბილისი – 2022

ასტრონომიული კალენდარი გამოიცემა 1961 წლიდან.

1961-2008 წლებში მას ერთობლივად გამოსცემდა ე. ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია და ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2009-2020 წლების ასტრონომიული კალენდრები გამოსცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

შემდგენელი:

ე. ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორია

სარედაქციო კოლეგია:

შ. საბაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)

გ. რამიშვილი ა. როგავა

ნ. საბაშვილი ე. ჯანიაშვილი

ISSN 0134-9856

ISBN 978-9941-31-534-3

სამოცდაშესამა გამოცემისათვის

ასტრონომიული კალენდარი (წელიწდეული) მოიცავს ყველა უმთავრეს ცნობას, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარ ცნობარებში მოიპოვება. ესენია: მზის, მთვარისა და პლანეტების ამოსვლა-ჩასვლის წინასწარ გამოთვლილი მომენტები მთელი წლისათვის, მათი მდებარეობა ცაზე, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტებისა და მეტეორული ნაკადების გამოჩენა, დროის სააღრიცხვო და გარემოში ორიენტირებისათვის საჭირო მონაცემები და სხვადასხვა ციური მოვლენების დაკვირვებასთან დაკავშირებული ცნობები. კალენდრის შესავალ ნაწილში – „როგორ ვისარგებლოთ კალენდრით“ – მკითხველი ყველა აუცილებელ განმარტებას იპოვის.

გამოთვლების ძირითადი ნაწილი შესრულებულია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლების გ. რამიშვილის, ნ. საბაშვილის და ე. ჯანიაშვილის მიერ. კალენდარს თან ერთვის რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წერილიც.

ტექსტის კომპიუტერზე აწყობა განახორციელა ვ. საბაშვილმა. ხელნაწერი მოამზადა და საბოლოო კორექტურა შეასრულა ნ. საბაშვილმა.

შ. საბაშვილი
2022 წ.

2023
წლის დროების დასაწყისი
(თბილისის საშუალო დროით)

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	20 მარტი	6 ^h 53 ^m
ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	21 ივნისი	0 ^h 45 ^m
შ ე მ ო დ გ ო მ ა	–	22 სექტემბერი	16 ^h 31 ^m
ზ ა მ თ ა რ ი	–	21 დეკემბერი	13 ^h 00 ^m

დგკრეტულ დროზე გადასასვლელად თბილისის საშუალო დროს უნდა დაემატოს 1 საათი და 1 წუთი.

საქართველოს ტერიტორია ვრცელდება აღმოსავლეთის გრძედით 40°.0-დან 46°.7-მდე, ჩრდილოეთის განედით 41°.1-დან 43°.6-მდე.

ზოგიერთი ქალაქის ბეობრაზიშული კოორდინატები

ქალაქი	გრძედი	განედი	ქალაქი	გრძედი	განედი
	o	o		o	o
აბასთუმანი	42.8	41.8	ლაგოდეხი	46.3	41.8
ახალქალაქი	43.5	41.4	მესტია	42.7	43.1
ახალციხე	43.0	41.6	ოზურგეთი	42.0	41.9
ბათუმი	41.6	41.6	სამტრედია	42.3	42.2
ბოლნისი	44.5	41.4	სახხერე	43.4	42.4
ბორჯომი	43.4	41.8	სოხუმი	41.0	43.0
გორი	44.1	42.0	ფოთი	41.7	42.1
ღუშეთი	44.7	42.1	ქუთაისი	42.7	42.3
ზუგდიდი	41.9	42.5	ყაზბეგი	44.6	42.6
თბილისი	44.8	41.7	ცხინვალი	44.0	42.2
თელავი	45.5	41.9	ხაშური	43.6	42.0



ტაბელ-კალენდარი

2023

	იანვარი					თებერვალი					მარტი											
ორშაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27					6	13	20	27					
სამშაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28					7	14	21	28					
ოთხშაბათი	4	11	18	25	1	8	15	22					1	8	15	22	29					
ხუთშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23					2	9	16	23	30					
პარასკევი	6	13	20	27	3	10	17	24					3	10	17	24	31					
შაბათი	7	14	21	28	4	11	18	25					4	11	18	25						
კვირა	1	8	15	22	29	5	12	19	26					5	12	19	26					
	აპრილი					მაისი					ივნისი											
ორშაბათი	3	10	17	24						1	8	15	22	29	5	12	19	26				
სამშაბათი	4	11	18	25						2	9	16	23	30	6	13	20	27				
ოთხშაბათი	5	12	19	26						3	10	17	24	31	7	14	21	28				
ხუთშაბათი	6	13	20	27						4	11	18	25	1	8	15	22	29				
პარასკევი	7	14	21	28						5	12	19	26	2	9	16	23	30				
შაბათი	1	8	15	22	29					6	13	20	27	3	10	17	24					
კვირა	2	9	16	23	30					7	14	21	28	4	11	18	25					
	ივლისი					აგვისტო					სექტემბერი											
ორშაბათი	3	10	17	24	31					7	14	21	28					4	11	18	25	
სამშაბათი	4	11	18	25						1	8	15	22	29					5	12	19	26
ოთხშაბათი	5	12	19	26						2	9	16	23	30					6	13	20	27
ხუთშაბათი	6	13	20	27						3	10	17	24	31					7	14	21	28
პარასკევი	7	14	21	28						4	11	18	25					1	8	15	22	29
შაბათი	1	8	15	22	29					5	12	19	26					2	9	16	23	30
კვირა	2	9	16	23	30					6	13	20	27					3	10	17	24	
	ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი											
ორშაბათი	2	9	16	23	30					6	13	20	27					4	11	18	25	
სამშაბათი	3	10	17	24	31					7	14	21	28					5	12	19	26	
ოთხშაბათი	4	11	18	25					1	8	15	22	29					6	13	20	27	
ხუთშაბათი	5	12	19	26					2	9	16	23	30					7	14	21	28	
პარასკევი	6	13	20	27					3	10	17	24					1	8	15	22	29	
შაბათი	7	14	21	28					4	11	18	25					2	9	16	23	30	
კვირა	1	8	15	22	29					5	12	19	26					3	10	17	24	31

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან დაკანონებულია ქვემოთ ჩამოთვლილი უქმე დღეები, რომლებშიც საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ: 1 და 2 იანვარს – ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში; 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს; 19 იანვარს – ნათლისღებას; 3 მარტს – დედის დღეს; 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს; 9 აპრილს – სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს; საადგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღები გარდამავალია); 9 მაისს – ფაშიზმზე გამარჯვების დღეს; 12 მაისს – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს; 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს; 28 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას); 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს; 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები

 მზე	☽ შემოდგომის დღელამტოლობის (ბუნიობის) წერტილი
☾ მთვარე	E აღმოსავლეთის წერტილი
☿ მერკური	SE სამხრეთ-აღმოსავლეთი
♀ ვენერა	S სამხრეთის წერტილი
♁ დედამიწა	SW სამხრეთ-დასავლეთი
♂ მარსი	W დასავლეთის წერტილი
♃ იუპიტერი	NW ჩრდილო-დასავლეთი
♄ სატურნი	N ჩრდილოეთის წერტილი
☉ ურანი	
 ნეპტუნი	
● ახალმთვარეობა	NE ჩრდილო-აღმოსავლეთი
☾ მთვარის პირველი მეოთხედი	a წელიწადი
☉ საესემთვარეობა	d დღე-ღამე
☾ მთვარის უკანასკნელი მეოთხედი	h საათი
Z ზენიტური მანძილი	m წუთი ანუ მინუტი
A აზიმუტი	s წამი ანუ სეკუნდი
φ გეოგრაფიული განედი	o გრადუსი
λ გეოგრაფიული გრძედი	‘ წუთი (რკალისა)
α პირდაპირი აღელუნა	“ წამი (რკალისა)
δ დახრილობა	
☽ გაზაფხულის დღელამტოლობის (ბუნიობის) წერტილი	

ბერძნული ანბანი

Α, α ალფა	Η, η ეტა	Ν, ν ნიუ	Τ, τ ტაუ
Β, β ბეტა	Θ, θ თეტა	Ξ, ξ ქსი	Υ, υ იპსილონ
Γ, γ გამა	Ι, ι იოტა	Ο, ο ომიკრონ	Φ, φ ფი
Δ, δ დელტა	Κ, κ კაპა	Π, π პი	Χ, χ ხი
Ε, ε ეფილონი	Λ, λ ლამბდა	Ρ, ρ რო	Ψ, ψ ფსი
Ζ, ζ ძეტა	Μ, μ მიუ	Σ, σ სიგმა	Ω, ω ომეგა

როგორ ვისარგებლოთ კალენდრით

კალენდარში, სხვა ცნობებთან ერთად, მოცემულია მზის, მთვარის და პლანეტების კოორდინატები და სხვა სიდიდეები დროის ფიქსირებული მომენტებისათვის. ეს მომენტები უმთავრესად წარმოადგენენ ყოველი დღე-ღამის დასაწყისთა მიმდევრობას; ნელაცვალებადი სიდიდეებისთვის (პლანეტათა კოორდინატები) მომენტები აღებულია ყოველ მე-7 დღე-ღამეზე. ასე აღებული მომენტები წარმოადგენენ ცხრილების არგუმენტებს, განსაზღვრავენ ცხრილების ინტერვალებს და საშუალებას გვაძლევენ ვიპოვოთ აღნიშნული ცვალებადი სიდიდეების მნიშვნელობები წლის ნებისმიერი დღისთვის და ნებისმიერი მომენტისთვის ინტერპოლაციის წესით.

დროის აღრიცხვის შესახებ

კალენდარში რიგი მოვლენებისა მოცემულია თბილისის საშუალო დროით, ზოგი – მსოფლიო დროით, ე.წ. დედამიწის დინამიკური ან ვარსკვლავიერი დროით. ხშირად პრაქტიკული ასტრონომიის ამოცანების გადაწყვეტისას მოითხოვება ერთი სისტემის დროის გადაყვანა მეორე სისტემის დროში, ამიტომ, მოკლედ გავეცნოთ დროის აღრიცხვისა და დროს სხვადასხვა სახეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

დროის მუდმივი ერთეული, რომელსაც თვით ბუნება იძლევა, ვარსკვლავიერი დღე-ღამეა ანუ დროის ის ხანგრძლივობა, რომელშიაც ხდება დედამიწის ერთი სრული შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო. ეს შემობრუნება განისაზღვრება გაზაფხულის

ბუნიობის წერტილის მიმართ, რომლის ზედა კულმინაცია ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისად მიიღება.

მაშასადამე, **ვარსკვლავიერი დღე-ღამე დროის ის ინტერვალია, რომელიც გაივლის გაზაფხულის ბუნიობის წერტილის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის.** ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისიდან მოცემულ მომენტამდე განვლილ დროს, გამოხატულს ვარსკვლავიერი საათებით, წუთებით და წამებით, ეწოდება ვარსკვლავიერი დრო.

მოცემულ მომენტში ზედა კულმინაციაში მყოფი ვარსკვლავის პირდაპირი აღვლენა ეტოლება ვარსკვლავიერ დროს. ამის გამო ცის მერიდიანზე ისეთი ვარსკვლავის გავლის მომენტის ასტრონომიული დაკვირვებით დადგენა, რომლის პირდაპირი აღვლენა ცნობილია, წარმოადგენს პირველწყაროს ზუსტი დროის მისაღებად.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა კავშირშია მზის ამოსვლა-ჩასვლასთან, მის დღელამურ და წლიურ მოძრაობასთან. ცხადია, დრო უნდა იზომებოდეს მზის მიხედვით. მზე თავისი ხილული წლიური მოძრაობისას ვარსკვლავიერ ცაზე ერთ დღე-ღამეში გადაადგილდება აღმოსავლეთისკენ დაახლოებით 1°-ით. ამის გამო მზე, ვარსკვლავებთან შედარებით, კულმინაციას აგვიანებს ყოველდღიურად დაახლოებით 4 წუთით. მზის ცენტრის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის დროის ხანგრძლივობას ეწოდება ჭეშმარიტი მზისიერი დღე-ღამე და იგი 4 ვარსკვლავიერი წუთით უფრო გრძელია ვარსკვლავიერ დღე-ღამეზე. ვარსკვლავებისა და მზის კულმინაციის მომენტთა შორის სხვაობა ყოველდღიურად იკრიბება და ერთ წელიწადში ნაზრდი ერთ დღე-ღამეს გაუტოლდება.

მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავიერ ცაზე უთანაბროა, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი. იგი მცირედ, მაგრამ მაინც იცვლება წლის განმავლობაში და თანაბრად მომუშავე საათს არ შეუძლია სწორად გვიჩვენოს ჭეშმარიტი დრო. მიზანშეწონილია დრო ავითვალთ ისეთი წარმოსახვითი წერტილით (ე.წ. „საშუალო მზე“), რომელიც, ჭეშმარიტი მზისაგან განსხვავებით, მოძრაობს არა ეკლიპტიკაზე, არამედ ცის ეკვატორზე, ამასთან თანაბრად, და ვარსკვლავიერი ცის სრულ გარშემოვლას უნდება ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ჭეშმარიტი მზე.

დროის ინტერვალს საშუალო მზის ორ ქვედა თანმიმდევრო კულმინაციას შორის ეწოდება საშუალო დღე-ღამე.

კალენდარში საშუალო დღე-ღამის დასაწყისად მიღებულია საშუალო შუაღამე - სამოქალაქო დღე-ღამის დასაწყისი, ე.ი. ის მომენტი, როცა საშუალო მზე იმყოფება ქვედა კულმინაციაში.

საშუალო დღე-ღამის ხანგრძლივობა მუდმივი ინტერვალია და ის მიღებულია დროის ძირითად საზომ ერთეულად. დიდი პერიოდის გასაზომად მოხერხებულია ტროპიკული წელიწად-დროის ინტერვალი ჭეშმარიტი მზის ცენტრის ორ თანმიმდევნო გავლას შორის გაზაფხულის ბუნიობის წერტილზე.

სამოქალაქო წელთაღრიცხვის საფუძველს ტროპიკული წელიწადი წარმოადგენს, რომელიც 366.2422 ვარსკვლავიერ ან 365.2422 საშუალო დღე-ღამეს შეიცავს. აქედან ერთი საშუალო დღე-ღამე უდრის $366.2422/365.2422=1.002738$ ვარსკვლავიერ დღე-ღამეს, ანუ $24^{\text{h}}03^{\text{m}}56^{\text{s}}.5555$ -ს ვარსკვლავიერი დროით. ერთი ვარსკვლავიერი დღე-ღამე არის $365.2422/366.2422=0.997270$ საშუალო დღე-ღამე, ანუ $23^{\text{h}}56^{\text{m}}04^{\text{s}}.091$ საშუალო დროით.

ასეთი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ვარსკვლავიერი დროის ნებისმიერი ინტერვალი გადავიყვანოთ საშუალო დროის ერთეულებში და პირიქით. ამ დამოკიდებულებათა საფუძველზე შედგენილია გადასაყვანი ცხრილები (გვ. 102-103).

როცა ჩვენთან შუადღეა, მაშინ დედამიწის ზედაპირის მოპირდაპირე მხარეზე შუაღამეა. მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტის მერიდიანზე ერთ აბსოლუტურ მომენტში სხვადასხვა დროა და ამავე მომენტში ადგილობრივ დროთა სხვაობა ტოლია ამ პუნქტების გეოგრაფიულ გრძედთა სხვაობისა. ამგვარად, თუ დედამიწის ორი პუნქტი არ ძეგს ერთ მერიდიანზე, მაშინ ყოველ მათგანზე იქნება თავისი განსაკუთრებული დრო.

დედამიწის ზედაპირზე მოცემული პუნქტის დროს ეწოდება ამ პუნქტის ადგილობრივი დრო. მაგალითად: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, გრინვიჩის და სხვათა ადგილობრივი დრო.

გრინვიჩში გამავალი მერიდიანი, საერთაშორისო შეთანხმებით, მიღებულია საწყის ანუ ნულოვან მერიდიანად გეოგრაფიული გრძედის ათვლისას და ამ მერიდიანის საშუალო დროს ეწოდება მსოფლიო დრო.

1986 წლიდან ხილული გეოცენტრული ეფემერიდების ძირითად არგუმენტად, ადრე ხმარებული არგუმენტის – „ეფემერიდული დროის“ ნაცვლად, შემოღებულია არგუმენტი „დედამიწის დინამიკური დრო“. დროის ამ ახალი სკალის ნულ-პუნქტი არის 1977 1,0003725 იანვარი საერთაშორისო ატომური დროით 1977,

1⁰⁰h00⁰⁰ იანვრის მომენტში. ამ სკალაში დროის ერთეულია დღე-ღამე, რომელიც შეიცავს ვარსკვლავიერი დროის 86 400 წამს საშ. ზღვის დონეზე.

განსხვავება დედამიწის დინამიკურსა და მსოფლიო დროს შორის ცვალებადობს დროის მსვლელობაში, მაგრამ საერთოდ, ჩვენს ეპოქაში ეს განსხვავება ერთობ მცირეა, ამის გამო დედამიწის დინამიკური დროის არგუმენტით გამოთვლილი ციურ სხეულთა კოორდინატების რიცხვითი მნიშვნელობები ან სხვა მონაცემები იმ მონაცემებთან შედარებით, რაც მსოფლიო დროის არგუმენტითაა მიღებული, იმდენად მცირედ განსხვავდება, რომ მარტივი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას უმრავლეს შემთხვევაში ეს განსხვავება უგულვებელსაყოფია.

საშუალო ადგილობრივი დროით სარგებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მოუხერხებელია, რადგანაც სხვადასხვა გეოგრაფიული გრძედის მქონე ყოველ ორ პუნქტში სხვადასხვა ადგილობრივი დროა. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შემოიღეს ზოლური დრო. დედამიწის მთელი ზედაპირი დაიყო მერიდიანებით 24 ზოლად, ნულოვანიდან ოცდამესამემდე.

გრინვიჩის მერიდიანიდან დასავლეთით 7^o.5-ით და აღმოსავლეთით 7^o.5-ით დაშორებულ მერიდიანთა შორის მოთავსებული ზოლი მიღებულია ნულოვან ზოლად.

პირველი ზოლი ვრცელდება 7.5 გრძედის მქონე მერიდიანიდან 22^o.5 გრძედის მქონე მერიდიანამდე, მეორე – 22^o.5-დან 37^o.5-მდე და ა. შ. თითოეულ ზოლში მოქცეულ ყოველ პუნქტში მიღებულია ამ ზოლის ცენტრალური, შუაზე გამავალი მერიდიანის საშუალო დრო.

როგორც ჩანს, მოსაზღვრე ზოლთა ცენტრალური მერიდიანების მდებარეობა ერთიმეორისაგან 15^o-ით განსხვავდება, ამიტომ ორ მეზობელ ზოლში საათის მანქანებელი ისარი განსხვავებას გვიჩვენებს ერთი საათით. მაგალითად, თუ გრინვიჩში (ნულოვან ზოლში) 9 საათია, ამ მომენტში პირველ ზოლში 10 საათია, მეორეში – 11 საათი და ა. შ.

ზოლების საზღვრები ყველგან როდი მიჰყვება მკაცრად მერიდიანებს. თუ სასაზღვრო მერიდიანი ქალაქს ან ერთგვარ ეკონომიკურ რაიონს კვეთს, მაშინ იმისთვის, რომ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში სხვადასხვა დრო არ იხმარებოდეს, ზოლის საზღვარს მერიდიანიდან მოაშორებენ და ქალაქის ან რაიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს გააყოლებენ.

საბჭოთა კავშირში 1930 წელს გამოიცა დეკრეტი ზოლურ დროსთან შედარებით საათის ისრის ხელოვნურად ერთი საათით წინ გადაწევის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით ადრე დაწყება, რაც გამოიწვევდა დღის ნათელი პერიოდის გამოყენებას და ამით ერთგვარ ეკონომიკურ მოგებას ენერჯის წყაროების დაზოგვის თვალსაზრისით. ასე განსაზღვრულ დროს **დეკრეტული დრო ეწოდება.**

დეკრეტული დრო ხელოვნურადაა წინ წაწეული მზის მოძრაობაზე დამყარებულ დროსთან შედარებით და, როგორც გამოირკვა, მისით სარგებლობა უარყოფით ბიოლოგიურ ზემოქმედებებს იწვევს. ამას გარდა, საეჭვოა თვით რეფორმის ეკონომიკური ეფექტურობაც, რადგან ზომიერ სარტყელშიც კი და კერძოდ, საქართველოში, რომ აღარაფერი ითქვას ჩრდილოეთის რაიონებზე, სადაც ზამთრის დღეები უაღრესად მოკლეა, წელიწადის საკმაოდ საგრძნობ პერიოდში დღის განათებული ნაწილი მნიშვნელოვნად ხანმოკლეა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური პერიოდის ხანგრძლივობა. მაშასადამე დღის საკმაოდ დიდ ნაწილში ცხოვრება მაინც გვიწევს ხელოვნური განათების პირობებში, რის გამო მოგება აქტიური ცხოვრების დილით ადრე დაწყების გამო ნეიტრალდება მისი გვიან დამით დამთავრებით. ამას გარდა, კიდევ რომ ეფექტური იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყების პერიოდული ცვლილებები, იგი შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელდეს სამუშაოს თუ სწავლის დაწყების საათის ოპერატიული ცვლილებებით, დროის ათვლის პრინციპის დაურღვევლად და საათის ისრის გაუმართლებელი გადაწევის გარეშე, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს სხვა მხრივაც – რთულდება დროის აღრიცხვა და წარსულის ამა თუ იმ ეპოქაში მომხდარ მოვლენათა მომენტების ფიზიკური დღე-ღამის დასაწყისის მიმართ ჭეშმარიტი განლაგების გამოთვლა, აგრეთვე სხვადასხვა წლების კალენდართა ურთიერთშესაბამისობის აღდგენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 ივნისს გააუქმა საქართველოს ტერიტორიაზე დეკრეტული დრო. 1994 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა, თითქოსდა ეკონომიკური მოსაზრებით, დეკრეტული დრო დროებით აღადგინა. 1998 წლის 29 მარტიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დეკრეტული დრო საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ გაუქმდა, მაგრამ იმავე წლის 14

ნოემბრიდან, მოსახლეობის ნაწილის ინტერესთა გათვალისწინებით, ისევე აღდგა.

მაგრამ საფიქრებელი იყო – და ამას განუწყვეტლივ ითხოვდა ასტრონომიული საზოგადოებრიობაც – რომ ბუნებრივი დრო ოდესმე მაინც აღდგებოდა, რადგან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და, ამდენად, ყველაზე უკეთ შეესატყვისება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ოპტიმალურად წარმართვასაც როგორც სახელმწიფოს ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბებშიც ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდ კავშირთა გათვალისწინებით. ერთი შეხედვით სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა, რომლის N 177 ბრძანებით 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოს ტერიტორიაზე საათის ისრები 1 საათით უკან გადასწიეს. შეიძლება ბოდა გეგეფიქრა, რომ დეკრეტული დრო გაუქმდა, საფიქრებელი იყო – საბოლოოდ. მაგრამ 2005 წლის 30 ოქტომბერს ახალი ბრძანებით აღარ განხორციელდა ამ მომენტი საათის წინასწარ გათვალისწინებული საათის ისრის ერთი საათით უკან გადაწევა (იხ. ქვემოთ), ამჯერადაც ენერჯის დაზოგვის მოსაზრებათა მოშველიებით. ეს კი დეკრეტული დროის აღდგენის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, დროის აღრიცხვის სფეროში არცთუ გამართლებული ექსპერიმენტები გრძელდება.

ანალოგიური ვითარებაა ე.წ. სეზონური დროების საკითხშიც, რომლის არსი ისაა, რომ წელიწადის სხვადასხვა სეზონში საათის ისრები რიგრიგობით იწევა ხან წინ, ხან უკან. ამ მხრივ მიღწეული ეკონომიკური ეფექტიც ისევე საეჭვოა, როგორც დეკრეტული დროის ზემოგანხილულ შემთხვევაში, და იგი არასოდეს არც ერთ ქვეყანაში ზუსტად არ დაუთვლიათ. ვერც შეძლებდნენ დათვლას, რადგან საათის ისრების წამდაუწუმ გადაწევის თანხლები ფსიქოლოგიური დისკომფორტის უარყოფითი შედეგები უზარმაზარი კია, მაგრამ ძნელია ისინი რიცხვებით გამოიხატოს. ამდენად, საათის ისრის სეზონური გადაწევა-გადმოწევა უარყოფით მოვლენად მიგვანჩნია. მაგრამ იგი შეთანხმებულად ხდება მსოფლიოს ქვეყნების საკმაოდ დიდ ჯგუფში და იქ დღემდე ძალაშია ხან ე.წ. ზამთრის, ხან კი ზაფხულის დრო. საქართველოშიც მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა წესი: ყოველი წლის მარტის თვის ბოლო კვირადღის ღამის 2 საათიდან საათის ისარი გადაიწეოდა ერთი საათით წინ, ხოლო ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის ღამის 3 საათიდან – ერთი საათით უკან. ეს თითქოსდა საშუალო-

ბას გვაძლევდა უფრო მეტად გამოგვეყენებინა დღე-ღამის ნათელი ნაწილი, რითაც დაიზოგებოდა ენერგეტიკული რესურსები. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა სამუშაო დროის რეგულირება საათის ისრების გადაწვევის გარეშე. ძნელი განსაჭვრეტი იყო, რომელ სტრატეგიას აირჩევდა საქართველოს მთავრობა ამ მიმართულე-ბით შემდგომში. მოხდა კი ის, რომ ამ საკითხს დღემდე აღარავინ დაბრუნებია. არსებული ვითარება იმას ნიშნავს, რომ 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოში საზაფხულო დრო გაუქმებულია და მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ ზოლურ-თან შედარებით 1 საათით წინ წაწეულ დროს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

s – ადგილობრივი ვარსკვლავიერი დრო.

s₀ – თბილისის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუალამეზე).

S – გრინვიჩის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუალამეზე).

M – მსოფლიო დრო.

n – ადგილობრივი საშუალო დრო.

D – დეკრეტული დრო.

N – ზოლის ნომერი (საქართველო III ზოლშია).

λ – ადგილის გრძედი.

n₀ – თბილისის საშუალო დრო.

საქართველოს ტერიტორიისათვის გვექნება შემდეგი და-
მოკიდებულებანი:

I **D=M+N+1=M+4^h**

II **D=n+4^h-λ^h**

III **n=M+λ^h**

IV **n=D-4^h+λ^h**

V **n₀=D-1^h**

რივი მოსაზრებების გამო კალენდრის სხვადასხვა წლების გამოშვებათა ცხრილებში ნახმარია ერთგან ერთგვარი, სხვაგან-სხვაგვარი დრო: მსოფლიო, დედამიწის დინამიკური, ადგილო-ბრივი, თბილისის საშუალო და სხვ, რაც სათანადო ადგილებში აღნიშნულია. მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყროს ამ საკითხს, რათა ყოველთვის სწორად დაუკავშიროს სათანადო მოვლენა თუ მონაცემი დროს და მოახერხოს კიდევ მისი მიყვანა იმ დრომდე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრე-ბაში ვხმარობთ. გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო გამოშვებე-ბში ნახსენები და, კერძოდ, რადიოთი გადმოცემული „მოსკოვის დრო“ იგივეა, რაც II ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრე-

ტული დრო (ე. წ. „ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტული პლუს ზაფხულის დრო (ე.წ. „ზაფხულის“ სეზონში). იმავე გამოცემებში ნახსენები „თბილისის დრო“ კი ქვეყანაში დეკრეტული დროის მოქმედების პერიოდებში წარმოადგენდა (მაშასადამე, ამჟამადაც წარმოადგენს) III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტულ დროს („ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტულ პლუს ზაფხულის დროს („ზაფხულის“ სეზონში, თუ საათის საგაზაფხულო წინწაწვევა ხორციელდებოდა), დეკრეტული დროის გაუქმებულობის პერიოდებში კი „თბილისის დრო“ უბრალოდ ემთხვეოდა III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დროს („ზამთრის სეზონში“) ან ერთი საათით წინ იყო მასზე („ზაფხულის სეზონში“). ამჟამად კი „თბილისის დრო“ მთელი წლის მანძილზე 1 საათით უსწრებს III ზოლის შუა მერიდიანის ადგილობრივ საშუალო დროს. უფრო გასაგებად თუ ვიტყვი, დეკრეტული და საზაფხულო დროების ერთდროული მოქმედების პირობებში თბილისში შუადღე „ზამთრის სეზონში“ დგებოდა „თბილისის დროით“ 13, „ზაფხულის სეზონში“ კი 14 საათზე. ამჟამად კი ჩვენს ქვეყანაში შუადღე მთელი წლის განმავლობაში თბილისის დროით 13 საათზე დგება.

ვიმეორებთ, 2004 წლის 27 ივნისის შემდეგ საათის ისრის სეზონური წინ და უკან გადაწვევა შეწყვეტილია. ეს სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ ან როგორც დეკრეტული დროის არსებობა, მთელი წლის მანძილზე „ზამთრის“ დროის ფორმით, ან, როგორც დეკრეტული დროის გაუქმებულობა, მაგრამ მთელი წლის მანძილზე „ზაფხულის“ დროის მოქმედებით. ეს მხოლოდ ინტერპრეტაციის საკითხია. დეკრეტული და სეზონური დროების მიმართ საკუთარი პოზიცია მთავრობას აშკარა ფორმით ჯერაც არ გამოუხატავს, ამიტომ არაა ცხადი, საბოლოოა თუ არა არსებული მდგომარეობა. ის კი ევროპის ქვეყნებში არსებულისგან განსხვავებულია.

შეჯ

(გვ. 22-45). ლუწ გვერდებზე III, IV, V სვეტებში 41°, 42° და 43° გეოგრაფიული განედის მქონე პუნქტებისათვის მოცემულია მზის ამოსვლის, ხოლო VII, VIII, IX სვეტებში კი ჩასვლის მომენტები ამ პუნქტების საშუალო დროით. მზის ამოსვლის და ჩასვლის მომენტებად ითვლება მისი დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტები ჭეშმარიტ პორიზონტზე. ადგილის რეალური პორიზონტი ყოველთვის განსხვავდება ჭეშმარიტისაგან და, მასა-

სადამე, მოცემულ ადგილას ამოსვლა-ჩასვლის ფაქტობრივი მომენტებიც რამდენიმე წუთით (მაღალი მთების სიახლოვეს შეიძლება 1 საათზე მეტითაც) განსხვავებულია გამოთვლილი მომენტებისაგან (ეს ეხება სხვა ციურ სხეულთა ამოსვლა-ჩასვლასაც).

მზის ამოსვლა-ჩასვლის მოცემული მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის, თბილისის დროით გამოსახვისას, ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე.

მათ საპოვნელად უნდა მოვახდინოთ ინტერპოლაცია კალენდრის ცხრილების მონაცემებისა მოცემული პუნქტის ϕ განედისათვის, შემდეგ კი მივღებულ მომენტს დავამატოთ ($3^h - \lambda$) სიდიდე, სადაც λ მოცემული პუნქტის გრძედია, გამოსახული საათებითა და წუთებით.

X სვეტი მოიცავს მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილის გეოდეზიურ A აზიმუტის რიცხვით მნიშვნელობებს თბილისისათვის. A ათვლება პორიზონტის წრეწირზე ჩრდილოეთის წერტილიდან აღმოსავლეთით (+) ნიშნით და დასავლეთით (-) ნიშნით. საქართველოს სხვა პუნქტებისათვის A -ს სიდიდე უმნიშვნელოდ იქნება განსხვავებული ამ მნიშვნელობებისაგან. ეს მონაცემები გამოიყენება იმისათვის, რომ წინასწარ გავიგოთ პორიზონტის რა ადგილას უნდა მოველოდეთ მზის ამოსვლა-ჩასვლას. ადვილი მისახვედრია რომ, თუ $A=90^\circ$, მზე ზუსტად აღმოსავლეთის წერტილში ამოდის (ეს ხდება გაზაფხულის და შემოდგომის დღე-ღამტოლობის დღეებში). ზაფხულის თვეებში $A < 90^\circ$; მზე ამოდის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის წერტილებს შორის.

კენტ გვერდებზე III სვეტში მოცემულია დღეები იულიუსის პერიოდისა, რომელიც შეიცავს 7980 წელიწადს და რომლის დასაწყისად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრის გრინვიჩისეული საშუალო შუადღე. მაგალითად, 2023 წლის 1 თებერვალს (გვ. 25) ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრიდან გასულია 2 459 976.5 დღე-ღამე.

იულიუსის აღრიცხვით დღეთა რაოდენობას ყოველ ორ თარიღს შორის მარტივად და შეუცდომლად გავიგებთ. ამიტომ ის ხშირად გამოიყენება ასტრონომიაში.

თვით იულიუსის პერიოდი უმცირესი საერთო ჯერადია 28, 19 და 15-წლიანი პერიოდებისა და ამ რიცხვთა ნამრავლით მიიღება: $28 \times 19 \times 15 = 7980$. ყოველი 28 წლის შემდეგ მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი კვირის დღეები, ყოველი 19 წლის შემდეგ (ე.წ. მეტონის ციკლი) დაახლოებით მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი მთვარის ფაზები, 15-წლიანი პერიო-

დი კი ძველი რომის საბეგარო სისტემაში გამოიყენებოდა. ამრიგად, იულიუსის პერიოდის გასვლის შემდეგ 1 იანვარს კვლავ დადგება ამ სამივე შემადგენელი პერიოდის დასაწყისი.

მთვარი

(გვ 46-49). II, IV და VI სვეტებში მოცემულია მთვარის ამოსვლის, III, V და VII სვეტებში კი ჩასვლის მომენტები, თბილისისათვის ადგილობრივი საშუალო დროით წლის ყოველი დღისთვის. მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტში ადგილობრივი საშუალო დროით შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს დაახლოებით 10 წუთამდე, ამ ცხრილში მოყვანილი მომენტებისაგან კი დაახლოებით 20 წუთამდე (თბილისის დროით გამოსახვისას ეს სხვაობანი შეიძლება 1 საათს აღწევდეს). დეკრეტულ დროზე გადასაყვანად ამ მონაცემებს უნდა დაემატოს 1 საათი, საზაფხულო დროზე გადასაყვანად კი, სათანადო შუალედში, კიდევ ერთი საათი. რეალურმა ჰორიზონტმა, მაღალი მთების სიახლოვეს, ცხადია, შეიძლება საგრძნობი კორექტივი შეიტანოს მთვარის ამოსვლა-ჩასვლის რეალურ მომენტებში.

მთვარის ფაზები

(გვ. 50). ცხრილში მოცემულია მთვარის ძირითადი ფაზების მომენტები თბილისის საშუალო დროით. ნაჩვენებია დღე, საათი და წუთი.

მაგალითად, იანვარში, ახალმთვარეობა 22-შია; ეს ფაზა ზუსტად 0 საათსა და 56 წუთზე დგება. იმის გამო, რომ მთვარის თვე კალენდარულ თვეზე მოკლეა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ერთი და იგივე ფაზა მოცემულ თვეში განმეორდეს, მაგალითად 1 და 31 აგვისტოს.

პლანეტები

(გვ. 51-57). მოცემულია 2023 წლის განმავლობაში პლანეტების მდებარეობისა და მათი ხილვადობის აღწერილობა. (გვ. 58-67). წარმოდგენილია ცხრილები, რომელთა მე-2, მე-3 და მე-4 სვეტები შეიცავს პლანეტების ამოსვლის, ზედა კულმინაციის და ჩასვლის მომენტებს თბილისში, ადგილობრივი საშუალო დროით, დაწყებული 1 იანვრიდან ყოველი შემდეგი მე-7 დღისთვის, მთელი წლის მანძილზე. ეს მომენტები საქართველოს სხვა პუნქტები-

სათვის თბილისის დროით შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე. მომენტები და კოორდინატები მოცემულია ასე იშვიათად იმის გამო, რომ ისინი შედარებით მცირედ ცვალებადობენ. ინტერპოლაციით გამოვითვლით ამ სიდიდეებს ნებისმიერი დღისთვის პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტით. მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სვეტების მონაცემები მიგვითითებს სად უნდა მოველოდეთ ცთომილის ამოსვლას (ჩასვლას), რა მანძილზე უნდა იმყოფებოდეს დედამიწის ცენტრიდან და რომელ თანავარსკვლავედში უნდა ვეძებდეთ მას.

თუ გვინტერესებს თბილისის დროით რომელ საათზე ამოვა, გაივლის ზედა კულმინაციაში ან ჩავა ესა თუ ის პლანეტა, კალენდარულ მონაცემებს უნდა დავამატოთ 1 წუთი. საქმე ისაა, რომ თბილისის გრძედი 1^მ-ით ნაკლებია მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის გრძედზე, რომლის ადგილობრივ დროს „თბილისის დრო“ ეწოდება. ამიტომ „თბილისის დრო“ 1 წუთით წინაა ქობილისის ადგილობრივ დროზე და სწორედ ამას ეყრდნობა ზემოთაღნიშნული წესი.

სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდო და დღის ხანგრძლივობა

(გვ. 68-69). სადამოს ბინდის დასაწყისი და დილის ბინდის დასასრული მზის დისკოს ზედა კიდის პორიზონტის ხაზთან შეხების მომენტებია.

სამოქალაქო ბინდის ხანგრძლივობა უდრის დროის იმ ინტერვალს, რაც მზეს დასჭირდება პორიზონტის ქვემოთ 6°-ით ჩაშვებისათვის (ან ამ მანძილის გავლისათვის ქვევიდან ზევით-პორიზონტამდე), ხოლო ასტრონომიული ბინდისა – პორიზონტს ქვემოთ 18°-ით ჩაშვებისათვის.

VI და VII სვეტებში მოცემულია ბინდის ხანგრძლივობა. მისი გამოთვლა ადვილია, როგორც სხვაობისა, მაგალითად, მზის ამოსვლის მომენტსა და დილის ბინდის დასაწყისის მომენტს შორის (სათანადო ცხრილიდან).

VIII სვეტში მოცემულია დღის ხანგრძლივობა, რაც დროის ინტერვალსაა დილის ბინდის დასასრულიდან სადამოს ბინდის დასაწყისამდე.

ეს ცხრილი შედგენილია 42° განედისათვის და გამოსადეგია საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.

მზისა და მთვარის დაბნელებანი

(გვ. 70-71). მოცემულია ცნობები მზისა და მთვარის დაბნელებების შესახებ.

2023 წელს მოხდება მზის ორი დაბნელება: 20 აპრილს რგოლურ-სრული და 14-15 ოქტომბერს – რგოლური. საქართველოს ტერიტორიიდან არც ერთი მათგანი არ გამოჩნდება. აგრეთვე მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება 28-29 ოქტომბერს და მკრთალ-ჩრდილოვანი დაბნელება 5 მაისს. საქართველოდან ხილვადია 28-29 ოქტომბრის ნაწილობრივი დაბნელება.

შესანიშნავი მეტეოროლოგიური ნაკადები

(გვ. 72). მეტეოროთა ნაკადების სიაში შეტანილია ძირითადად მხოლოდ ისეთები, რომელთა დაკვირვებისათვის საუკეთესო პირობებია მეტეოროების სისშირისა და ხილვადობის მხრივ.

მე-2 სვეტში მოცემულია ნაკადის სახელწოდება იმ თანავარსკვლავედის ლათინური დასახელებით, რომელშიც იმყოფება მისი რადიანტი ანუ წერტილი, საიდანაც თითქოს შემოიჭრებიან ცაზე მოცემული ნაკადის მეტეოროები.

მე-4 სვეტი შეიცავს მაქსიმუმის დღეს, რომელიც შეესაბამება ჩვენს ცაზე შემოჭრილ მეტეოროთა მაქსიმალურ რაოდენობას ერთ საათში. მე-8 სვეტში მოცემულია მეტეოროთა რაოდენობა, რაც წარმოადგენს უმთვარო ღამით ერთი დამკვირვებლის მიერ ერთ საათში დათვლილ მეტეოროთა რიცხვს.

ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი

2023 წლის მომენტისათვის

(გვ. 73-76). მოცემულია კაშკაშა ვარსკვლავების საშუალო მდებარეობების ზუსტი ეკვატორული კოორდინატები. ამ ცხრილში შევიდა 3.5 ვარსკვლავიერ სიდიდეზე უფრო კაშკაშა ყველა ვარსკვლავი, რომელთა დახრილობა $+90^{\circ}$ -სა და -30° -ს შორისაა.

ცვალებადი ვარსკვლავები

(გვ. 77-80). ვარსკვლავებს, რომელთა სიკაშკაშე არასტაბილურია, ცვალებად ვარსკვლავებს უწოდებენ. მათი სიკაშკაშის ცვალებადობის ხასიათის შესწავლა საინტერესო მეცნიერულ ამოცანას წარმოადგენს. სიკაშკაშის ცვალებადობა გამოწვეულია ან ფიზიკური მოვლენებით თვით ვარსკვლავებში (მაგ. ცეფეიდები), ან ოპტიკური ეფექტით, რაც გამოიხატება ორმაგი ვარსკვლავების კომპონენტების მიერ ერთმანეთის პერიოდული

დაბნელებით (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავები). ცხრილში მოყვანილია მონაცემები ისეთი ცვალებადი ვარსკვლავებისათვის, რომელთა დაკვირვება მისაწვდომია მცირე ზომის ტელესკოპებით.

IV სვეტში მოცემულია ვარსკვლავის მაქსიმალური და მინიმალური სიკაშკაშის მნიშვნელობანი, გამოხატული ვარსკვლავიერი სიდიდეებით. მათი სხვაობა გვაძლევს სიკაშკაშის ცვალებადობის ფარგლებს, ანუ ამპლიტუდას.

V სვეტში მოცემულია სიკაშკაშის მაქსიმუმის (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების შემთხვევაში მინიმუმის) მომენტის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც პირველი წევრი წარმოადგენს სიკაშკაშის მაქსიმუმის (მინიმუმის) საწყის მომენტს, გამოხატულს იულიუსის დღეებით; მეორე წევრი კი წარმოადგენს ცვალებადობის პერიოდისა და E ფაქტორის ნამრავლს, გამოხატულს დღე-ღამეებით. E ფაქტორი ნიშნავს საწყისი მომენტიდან დაკვირვების მომენტამდე გასული პერიოდების რიცხვს.

დაკვირვება ისეთ ცვალებად ვარსკვლავზე, რომელიც სწრაფად იცვლის სიკაშკაშეს და ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ერთობ საინტერესოა. იმისთვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთა ცვალებადობის ხასიათზე, საჭიროა მათზე სისტემატური დაკვირვება.

მოყვანილია მონაცემები რამდენიმე გრძელპერიოდანი ცვალებადისა და ერთი ტიპიური ცვალებადი ვარსკვლავის პერსევსის β-ს სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ, რომელზეც დაკვირვება ადვილი მოსახერხებელია.

რეფრაქციის ცხრილები

(გვ. 83-84). დედამიწის ატმოსფერო ამრუდებს ციურ მნათობთა სხივების სვლას, სახელდობრ, აახლოებს მას ვერტიკალურ მიმართულებასთან. ამის გამო მნათობები მათი ჭეშმარიტი მდებარეობებისაგან რამდენადმე ზენიტისკენ გადაადგილებულნი გვეჩვენება. ამ გადაადგილების სიდიდეს და თვით მოვლენასაც რეფრაქციას უწოდებენ (რეფრაქცია გარდატეხას ნიშნავს). რეფრაქციის სიდიდე სხვადასხვაა ზენიტიდან სხვადასხვანაირად დაშორებული მნათობებისთვის და, ამას გარდა, რამდენადმე დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე.

რეფრაქციის სიდიდის ცოდნა აუცილებელია, რათა მნათობების ნამდვილი, კატალოგებში აღნიშნული მდებარეობების მიხე-

დვით გამოვითვალთ ცაზე მათი ხილული მდებარეობანი ან პირიქით: დაკვირვებით განსაზღვრული მნათობების ხილული კოორდინატების საშუალებით განვსაზღვროთ მათივე ჭეშმარიტი კოორდინატები.

მოგვეავს საშუალო რეფრაქციის, აგრეთვე რეფრაქციაზე წნევისა და ტემპერატურის გავლენის ამსახველი ცხრილები.

ცნობები რამდენიმე უკაშკაშის და უახლოესი მარსკვლავის შესახებ

(გვ. 85-86). მოცემულია ძირითადი ცნობები ბრწყინვალეების, მანძილის, ტემპერატურის და სხვათა შესახებ.

ორჯერადი მარსკვლავები კომპონენტებს შორის მკვეთრად განსხვავებული ფერებით

(გვ. 86). დაკვირვებისთვის თავისებურ ინტერესს წარმოადგენს ორჯერადი ვარსკვლავები, რომელთა კომპონენტებს განსხვავებული ფერები ახასიათებთ, რაც მათი ტემპერატურების სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ცხრილში მოცემულია ასეთი კაშკაშა სისტემები.

ორჯერადი მარსკვლავები

(გვ. 87). ორ ვარსკვლავს, რომელნიც მათი საერთო სიძიმის ცენტრის გარშემო ბრუნავენ, ორჯერად ვარსკვლავს უწოდებენ. თუ ასეთ სისტემას ქმნის სამი ვარსკვლავი, მას სამჯერადს უწოდებენ და ა.შ. ორჯერად სისტემაში უფრო კაშკაშა ვარსკვლავს აღნიშნავენ როგორც *A* კომპონენტს, მეორეს კი როგორც *B* კომპონენტს.

ცხრილში მოცემულია შედარებით კაშკაშა ჯერადი სისტემები, რომელთა კომპონენტებს შორის დაშორება არცთუ ძალიან მცირეა. მათი ჯერადობის შემჩნევა და დაკვირვება შესაძლებელია მცირე ზომის ტელესკოპით ან ძლიერი დურბინდით.

ღია და სფერული ბროშები

(გვ. 88). სივრცის შედარებით მცირე მოცულობაში ვარსკვლავთა სივრცულ შეჯგუფებას ეწოდება ვარსკვლავთა გროვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია სფეროს ან ბრუნვითი ელიფსოიდის ფორმის მქონე არეში, მაშინ ასეთ გროვას ეწოდება სფერული. სფერულ გროვაში შეიძლება შედიოდეს ათეულობით ათასი ვარსკვლავი. ასეთ გროვებში ვარსკვლავების ერთმანეთთან მჭი-

დრო განლაგების გამო არ ხერხდება მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა და ძნელდება ცალკეული ვარსკვლავის ბრწყინვალეობის გაზომვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია უწყვეტ ფორმის სახით და ხშირად ისინი ადვილად არ გამოირჩევიან მათ გარშემო მდებარე ვარსკვლავთაგან, მაშინ ასეთებს ვარსკვლავთ ღია გროვებს უწოდებენ. ასეთ გროვებში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე ასეული ვარსკვლავი. ცხრილში თავმოყრილ ვარსკვლავთა გროვების დაკვირვება მცირე ზომის ტელესკოპითაც შეიძლება.

ბნელი, დიფუზური და პლანეტასხის ნისლეულები

(გვ. 89). მოყვანილია ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ზოგიერთი სხვადასხვა ფორმის, სუსტად მნათი აირებისა და კოსმოსური მტვრის მასები, ან დიფუზური (დიფ) ნისლეულები. ასეთი მასები, თუ არ ანათებენ, ბნელ (ბნ) ნისლეულებად იწოდებიან. თუ ნისლეული მცირე ზომის არეს იჭერს, მრგვალი ან შებრტყელებული ფორმისაა და მის ცენტრში ვარსკვლავი გამოსჭვივის, მაშინ ასეთს პლანეტასხის (პლ) ნისლეული ეწოდება.

გალაქტიკები

(გვ. 90). მოყვანილია ვარსკვლავთა სისტემები, რომლებიც ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის ანუ ჩვენი გალაქტიკის მსგავსია და იმყოფება ზესივრცეში ჩვენი გალაქტიკის გარეთ. ასეთი სისტემები, ანუ გალაქტიკები სამყაროში აურაცხელი რაოდენობითაა. გალაქტიკები თავიანთი ფორმის და ევოლუციის მიხედვით იყოფიან სპეციფიკურ ჯგუფებად: E, Sb, Sc და სხვ.

სხვა მონაცემები

შემდგომ გვერდებზე (გვ. 91-104). მოცემულია ძირითადი ცნობები პლანეტებსა და მათ თანამგზავრებზე: დედამიწაზე, მთვარესა და მზეზე; მოცემულია ზოგიერთი მუდმივი სიდიდის მნიშვნელობანი, სხვა დამხმარე ცხრილები და აღნიშვნებიც. ყველა საჭირო განმარტება თვით ცხრილებში მოიპოვება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენი კალენდრის 2008 წლის გამოშვებიდან დაწყებული, პლუტონი ამოვიღეთ მზის სისტემის დიდი პლანეტების ცხრილიდან. ამას გარდა, განვაახლეთ პლანეტების თანამგზავრთა ცხრილები ბოლო წლებში აღმოჩენილ თანამგზავრთა გათვალისწინებით.



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში საშუალო დროით	წასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლის და წასვლის ახიმუცი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

0 ა ნ ვ ა რ 0

		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	კვ	7 25	7 28	7 32	12 03 18	16 42	16 38	16 35	121
2	ორ	7 25	7 28	7 32	12 03 47	16 42	16 39	16 36	121
3	სმ	7 25	7 28	7 32	12 04 15	16 43	16 40	16 37	121
4	ოთ	7 25	7 28	7 32	12 04 42	16 44	16 41	16 38	120
5	ხთ	7 25	7 28	7 32	12 05 10	16 45	16 42	16 38	120
6	პრ	7 25	7 28	7 31	12 05 36	16 46	16 43	16 40	120
7	შშ	7 25	7 28	7 31	12 06 03	16 47	16 44	16 41	120
8	კვ	7 25	7 28	7 31	12 06 29	16 48	16 45	16 42	120
9	ორ	7 25	7 28	7 31	12 06 54	16 49	16 46	16 43	120
10	სმ	7 25	7 28	7 31	12 07 19	16 50	16 47	16 44	119
11	ოთ	7 25	7 28	7 31	12 07 43	16 51	16 48	16 45	119
12	ხთ	7 24	7 27	7 30	12 08 07	16 52	16 49	16 46	119
13	პრ	7 24	7 27	7 30	12 08 30	16 54	16 51	16 48	119
14	შშ	7 23	7 26	7 29	12 08 52	16 55	16 52	16 49	118
15	კვ	7 23	7 26	7 29	12 09 14	16 56	16 53	16 50	118
16	ორ	7 23	7 26	7 28	12 09 35	16 57	16 54	16 51	118
17	სმ	7 22	7 25	7 28	12 09 56	16 58	16 55	16 52	118
18	ოთ	7 22	7 25	7 27	12 10 16	16 59	16 56	16 53	117
19	ხთ	7 21	7 24	7 27	12 10 35	17 00	16 57	16 54	117
20	პრ	7 21	7 24	7 26	12 10 53	17 01	16 58	16 56	117
21	შშ	7 20	7 23	7 26	12 11 11	17 02	17 00	16 57	117
22	კვ	7 20	7 22	7 25	12 11 28	17 04	17 01	16 58	116
23	ორ	7 19	7 22	7 24	12 11 44	17 05	17 02	17 00	116
24	სმ	7 18	7 21	7 24	12 12 00	17 06	17 04	17 01	116
25	ოთ	7 18	7 20	7 23	12 12 14	17 07	17 05	17 02	115
26	ხთ	7 17	7 19	7 22	12 12 28	17 09	17 06	17 04	115
27	პრ	7 16	7 18	7 21	12 12 41	17 10	17 07	17 05	115
28	შშ	7 15	7 18	7 20	12 12 53	17 11	17 09	17 06	114
29	კვ	7 14	7 17	7 19	12 13 05	17 12	17 10	17 07	114
30	ორ	7 13	7 16	7 18	12 13 15	17 14	17 11	17 09	113
31	სმ	7 13	7 15	7 17	12 13 25	17 15	17 12	17 10	113



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გასული დღის რაოდენობა	მანძილი კობალინის რაიონის ცენტრსა და ვარსკვლავგორის რაიონის ცენტრს შორის	დედამიწის დინამიკური დროითი მზ-სე		ხილული რადიუსი	ვარსკვლავგორის რაიონის ცენტრსა და ვარსკვლავგორის რაიონის ცენტრს შორის
			ხილული ა	ხილული ბ		

0 1 6 3 1 0

		2459	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.000	945.5	6 41 32	18 44 41	-23 04	16 18	6 41 03
2	.003	946.5	6 45 29	18 49 06	22 59	16 18	6 44 59
3	.006	947.5	6 49 25	18 53 31	22 54	16 18	6 48 56
4	.008	948.5	6 53 22	18 57 55	22 48	16 18	6 52 52
5	.011	949.5	6 57 18	19 02 19	22 42	16 18	6 56 49
6	.014	950.5	7 01 15	19 06 42	22 35	16 18	7 00 46
7	.016	951.5	7 05 11	19 11 05	22 28	16 17	7 04 42
8	.019	952.5	7 09 08	19 15 28	22 20	16 17	7 08 39
9	.022	953.5	7 13 05	19 19 50	22 12	16 17	7 12 35
10	.025	954.5	7 17 01	19 24 11	22 04	16 17	7 16 32
11	.027	955.5	7 20 58	19 28 32	21 55	16 17	7 20 28
12	.030	956.5	7 24 54	19 32 53	21 46	16 17	7 24 25
13	.033	957.5	7 28 51	19 37 13	21 36	16 17	7 28 21
14	.036	958.5	7 32 47	19 41 32	21 26	16 17	7 32 18
15	.038	959.5	7 36 44	19 45 51	21 15	16 17	7 36 15
16	.041	960.5	7 40 40	19 50 09	21 04	16 17	7 40 11
17	.044	961.5	7 44 37	19 54 26	20 53	16 17	7 44 08
18	.046	962.5	7 48 34	19 58 43	20 41	16 17	7 48 04
19	.049	963.5	7 52 30	20 02 59	20 29	16 17	7 52 01
20	052	964.5	7 56 27	20 07 14	20 17	16 17	7 55 57
21	055	965.5	8 00 23	20 11 28	20 04	16 17	7 59 54
22	058	966.5	8 04 20	20 15 42	19 50	16 17	8 03 50
23	060	967.5	8 08 16	20 19 55	19 37	16 17	8 07 47
24	063	968.5	8 12 13	20 24 07	19 23	16 16	8 11 44
25	066	969.5	8 16 09	20 28 18	19 08	16 16	8 15 40
26	068	970.5	8 20 06	20 32 28	18 54	16 16	8 19 37
27	071	971.5	8 24 03	20 36 38	18 38	16 16	8 23 33
28	074	972.5	8 27 59	20 40 47	18 23	16 16	8 27 30
29	077	973.5	8 31 56	20 44 55	18 07	16 16	8 31 26
30	079	974.5	8 35 52	20 49 02	17 51	16 16	8 35 23
31	0.082	975.5	8 39 49	20 53 08	-17 35	16 16	8 39 19



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

თ ე ზ ე რ ვ ა ლ 0

		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	ოთ	7 12	7 14	7 16	12 13 34	17 16	17 14	17 11	113
2	ხთ	7 11	7 13	7 15	12 13 42	17 17	17 15	17 13	112
3	პრ	7 10	7 12	7 14	12 13 50	17 19	17 16	17 14	112
4	შბ	7 09	7 11	7 13	12 13 56	17 20	17 18	17 15	112
5	კვ	7 08	7 10	7 12	12 14 02	17 21	17 19	17 17	111
6	ორ	7 07	7 09	7 11	12 14 06	17 22	17 20	17 18	111
7	სმ	7 05	7 07	7 09	12 14 10	17 24	17 21	17 19	110
8	ოთ	7 04	7 06	7 08	12 14 13	17 25	17 23	17 21	110
9	ხთ	7 03	7 05	7 07	12 14 16	17 26	17 24	17 22	109
10	პრ	7 02	7 04	7 06	12 14 17	17 27	17 25	17 23	109
11	შბ	7 01	7 02	7 04	12 14 18	17 29	17 27	17 25	109
12	კვ	6 59	7 01	7 03	12 14 18	17 30	17 28	17 26	108
13	ორ	6 58	7 00	7 02	12 14 17	17 31	17 29	17 28	108
14	სმ	6 57	6 59	7 00	12 14 16	17 32	17 31	17 29	107
15	ოთ	6 56	6 57	6 59	12 14 14	17 34	17 32	17 31	107
16	ხთ	6 54	6 56	6 58	12 14 11	17 35	17 33	17 32	106
17	პრ	6 53	6 55	6 56	12 14 07	17 36	17 35	17 33	106
18	შბ	0 52	6 53	6 55	12 14 03	17 37	17 36	17 34	105
19	კვ	6 50	6 52	6 53	12 13 58	17 39	17 37	17 36	105
20	ორ	6 49	6 50	6 52	12 13 52	17 40	17 38	17 37	104
21	სმ	6 48	6 49	6 50	12 13 46	17 41	17 40	17 38	104
22	ოთ	6 46	6 47	6 49	12 13 39	17 42	17 41	17 40	103
23	ხთ	6 45	6 46	6 47	12 13 32	17 43	17 42	17 41	103
24	პრ	6 43	6 44	6 46	12 13 23	17 44	17 43	17 42	102
25	შბ	6 42	6 43	6 44	12 13 15	17 45	17 44	17 43	102
26	კვ	6 40	6 41	6 42	12 13 05	17 46	17 45	17 44	101
27	ორ	6 39	6 40	6 41	12 12 55	17 48	17 47	17 46	101
28	სმ	6 37	6 38	6 39	12 12 45	17 49	17 48	17 47	100



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან განმეორებული დღის რაოდენობა	რვაოთხობის რაოდენობის დამატებითი დღის რაოდენობა	კანკველიანი დღის რაოდენობა	დედამიწის დინამიკური დროითი მზა		ბიომეტრიული მზა	კანკველიანი დღის რაოდენობის სტატისტიკური მზა
				ბიომეტრიული	ბიომეტრიული		

თ ი ბ ე მ მ ა ლ 0

		2459	h m s	h m s	o ' "	' "	h m s
1	.085	976.5	8 43 45	20 57 14	-17 18	16 16	8 43 16
2	.088	977.5	8 47 42	21 01 19	17 01	16 15	8 47 13
3	.090	978.5	8 51 38	21 05 22	16 44	16 15	8 51 09
4	.093	979.5	8 55 35	21 09 25	16 26	16 15	8 55 06
5	.096	980.5	8 59 32	21 13 28	16 08	16 15	8 59 02
6	.099	981.5	9 03 28	21 17 29	15 50	16 15	9 02 59
7	.101	982.5	9 07 25	21 21 30	15 32	16 15	9 06 55
8	.104	983.5	9 11 21	21 25 30	15 13	16 14	9 10 52
9	.107	984.5	9 15 18	21 29 29	14 54	16 14	9 14 48
10	.110	985.5	9 19 14	21 33 28	14 35	16 14	9 18 45
11	.112	986.5	9 23 11	21 37 25	14 16	16 14	9 22 42
12	.115	987.5	9 27 07	21 41 22	13 56	16 14	9 26 38
13	.118	988.5	9 31 04	21 45 18	13 36	16 14	9 30 35
14	.120	989.5	9 35 01	21 49 14	13 16	16 13	9 34 31
15	.123	990.5	9 38 57	21 53 08	12 55	16 13	9 38 28
16	.126	991.5	9 42 54	21 57 02	12 35	16 13	9 42 24
17	.129	992.5	9 46 50	22 00 55	12 14	16 13	9 46 21
18	.131	993.5	9 50 47	21 04 48	11 53	16 13	9 50 17
19	.134	994.5	9 54 43	22 08 39	11 32	16 12	9 54 14
20	.137	995.5	9 58 40	22 12 31	11 11	16 12	9 58 11
21	.140	996.5	10 02 36	22 16 23	10 49	16 12	10 02 07
22	.142	997.5	10 06 33	22 20 12	10 27	16 12	10 06 04
23	.145	998.5	10 10 30	22 24 00	10 06	16 12	10 10 00
24	.148	999.5	10 14 26	22 27 48	9 44	16 11	10 13 57
25	.151	000.5	10 18 23	22 31 36	9 21	16 11	10 17 53
26	.153	001.5	10 22 19	22 35 23	8 59	16 11	10 21 50
27	.156	002.5	10 26 16	22 39 10	8 37	16 11	10 25 46
28	0.159	003.5	10 30 13	22 42 56	-8 14	16 10	10 29 43
		2460					



ოქის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ნასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის ახდენები
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

მ ა რ ტ ი

		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	ოთ	6 36	6 37	6 37	12 12 34	17 50	17 49	17 48	100
2	ხთ	6 34	6 35	6 36	12 12 22	17 51	17 50	17 49	99
3	პრ	6 33	6 33	6 34	12 12 10	17 52	17 51	17 50	99
4	შბ	6 31	6 32	6 33	12 11 57	17 53	17 52	17 52	98
5	კვ	6 29	6 30	6 31	12 11 44	17 54	17 54	17 53	98
6	ვრ	6 28	6 29	6 29	12 11 31	17 55	17 55	17 54	97
7	სმ	6 26	6 27	6 28	12 11 17	17 57	17 56	17 56	97
8	ოთ	6 24	6 25	6 26	12 11 02	17 58	17 57	17 57	96
9	ხთ	6 23	6 23	6 24	12 10 47	17 59	17 59	17 58	96
10	პრ	6 21	6 22	6 22	12 10 32	18 00	18 00	17 59	95
11	შბ	6 19	6 20	6 20	12 10 17	18 02	18 01	17 01	95
12	კვ	6 18	6 18	6 18	12 10 01	18 03	18 02	18 02	94
13	ვრ	6 16	6 16	6 17	12 09 45	18 04	18 03	18 03	94
14	სმ	6 14	6 15	6 15	12 09 28	18 05	18 04	18 04	93
15	ოთ	6 13	6 13	6 13	12 09 12	18 06	18 06	18 05	93
16	ხთ	6 11	6 11	6 12	12 08 55	18 07	18 07	18 06	92
17	პრ	6 10	6 10	6 10	12 08 38	18 08	18 08	18 08	92
18	შბ	6 08	6 08	6 08	12 08 20	18 09	18 09	18 09	91
19	კვ	6 06	6 06	6 06	12 08 03	18 10	18 10	18 10	90
20	ვრ	6 05	6 05	6 05	12 07 45	18 11	18 11	18 11	90
21	სმ	6 03	6 03	6 03	12 07 27	18 12	18 12	18 13	89
22	ოთ	6 01	6 01	6 01	12 07 10	18 13	18 13	18 14	89
23	ხთ	6 00	5 59	5 59	12 06 52	18 14	18 15	18 15	88
24	პრ	5 58	5 58	5 57	12 06 34	18 15	18 16	18 16	88
25	შბ	5 56	5 56	5 56	12 06 15	18 16	18 17	18 17	87
26	კვ	5 55	5 54	5 54	12 05 57	18 17	18 18	18 18	87
27	ვრ	5 53	5 53	5 52	12 05 39	18 19	18 19	18 20	86
28	სმ	5 51	5 51	5 50	12 05 21	18 20	18 20	18 21	86
29	ოთ	5 50	5 49	5 49	12 05 03	18 21	18 22	18 22	85
30	ხთ	5 48	5 47	5 47	12 04 45	18 22	18 23	18 23	85
31	პრ	5 46	5 46	5 45	12 04 27	18 24	18 24	18 25	84



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან განწყობილი მისი ნაწილი	ოქტობრის თვეს პერიოდის დღე	ვარსკვლავები დრო 0 ^h -ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით		სილუკლი რადიუსი	ვარსკვლავები დრო 0 ^h -ზე თბილისის სა-მუკავრო დროით
				სილუკლი α	სილუკლი δ		

მ ა რ ტ ი

		2460	h m s	h m s	° ′	′ ″	h m s
1	0.162	004.5	10 34 09	22 46 41	-7 52	16 10	10 33 40
2	.164	005.5	10 38 05	22 50 26	7 29	16 10	10 37 36
3	.167	006.5	10 42 02	22 54 11	7 06	16 10	10 41 33
4	.170	007.5	10 45 59	22 57 55	6 43	16 09	10 45 29
5	.172	008.5	10 49 55	23 01 38	6 20	16 09	10 49 26
6	.175	009.5	10 53 52	23 05 21	5 57	16 09	10 53 22
7	.178	010.5	10 57 48	23 09 04	5 34	16 09	10 57 19
8	.181	011.5	11 01 45	23 12 46	5 10	16 08	11 01 15
9	.183	012.5	11 05 41	23 16 28	4 47	16 08	11 05 12
10	.186	013.5	11 09 38	23 20 09	4 23	16 08	11 09 08
11	.189	014.5	11 13 34	23 23 51	4 00	16 08	11 13 05
12	.192	015.5	11 17 31	23 27 32	3 36	16 07	11 17 01
13	.194	016.5	11 21 27	23 31 12	3 13	16 07	11 20 58
14	.197	017.5	11 25 24	23 34 53	2 49	16 07	11 24 54
15	.200	018.5	11 29 20	23 38 33	2 25	16 07	11 28 51
16	.203	019.5	11 33 17	23 42 13	2 02	16 06	11 32 48
17	.205	020.5	11 37 14	23 45 52	1 38	16 06	11 36 44
18	.208	021.5	11 41 10	23 49 31	1 14	16 06	11 40 41
19	.211	022.5	11 45 07	23 53 11	0 50	16 06	11 44 37
20	.214	023.5	11 49 03	23 56 50	0 27	16 05	11 48 34
21	.216	024.5	11 53 00	0 00 29	-0 03	16 05	11 52 30
22	.219	025.5	11 56 56	0 04 07	+0 21	16 05	11 56 27
23	.222	026.5	12 00 53	0 07 46	0 44	16 05	12 00 23
24	.224	027.5	12 04 49	0 11 24	1 08	16 04	12 04 20
25	.227	028.5	12 08 46	0 15 03	1 32	16 04	12 08 17
26	.230	029.5	12 12 43	0 18 41	1 55	16 04	12 12 13
27	.233	030.5	12 16 39	0 22 19	2 19	16 03	12 16 10
28	.236	031.5	12 20 36	0 25 58	2 42	16 03	12 20 06
29	.238	032.5	12 24 32	0 29 36	3 06	16 03	12 24 03
30	.241	033.5	12 28 29	0 33 15	3 29	16 03	12 27 59
31	0.244	034.5	12 32 25	0 36 53	+3 52	16 02	12 31 56



ვების ტელესკოპის ძირითადი ნაწილი 6,5 მ დიამეტრის სარკეა – 18 ექვსკუთხა სარკისგან შედგენილი ჩახნექილი სტრუქტურა, დამზადებული ოქროთი დაფარული ბერილიუმით. მისი დანიშნულებაა აირეკლოს სამყაროს უშორესი უბნებიდან მოღწეული ინფრაწითელი სინათლე, რომელიც გამოსხივებულია მეტაგალაქტიკის (სამყაროს დაკვირვებადი ნაწილის) წარმოქმნის ყველაზე ადრეულ ეპოქაში.

ამ ტელესკოპის განთავსება თავიდანვე გათვალისწინებული იყო მზის ირგვლივ შემოწერილ ორბიტაზე, დედამიწიდან 1,6 მლნ კმ-ზე, ჩვენი პლანეტიდან მზის საწინააღმდეგო მხარეს, ანუ ჩვენგან მთვარეზე 4-ჯერ უფრო შორს. ობსერვატორია უნდა „დაბანაკებულიყო“ დედამიწა-მთვარის სისტემის მეორე ლაგრანჟისეულ წერტილში (ასე უწოდებენ ერთმანეთის მიმართ გარემოქცევი ორი ნებისმიერი ციური სხეულის სისტემის ფარდობითი წონასწორობის რამდენიმე მდებარეობას), რომელამდე მიღწევა 1 თვეში ივარაუდებოდა. აფრენიდან ნახევარ საათში უნდა გაშლილიყო საკომუნიკაციო სისტემა და ენერგიით მომმარაგებელი მზის პანელები. შემდეგ, მეექვსე დღეს გაიშლებოდა მანამდე აკორდონივით დაკეცილი მზის ფარი. მისი თხელი მემბრანები უნდა გაეშალა 400 ბორბლისა და 400 მ სიგრძის კაბელებისგან შედგენილ კომპლექსურ მექანიზმს. გაშვებისას ყველა ეს წინაპირობა ზუსტად შესრულდა. 5- შრიანი სარკე 2022 წლის 8 იანვარს გაიშალა და ტელესკოპმა სვლა გააგრძელა მიზნისკენ.

თვით მზის ფარი ტელესკოპის ფუნქციონირების მთელ პერიოდში განლაგებული უნდა დარჩეს მზესა და სარკეს შო-

რის – მისი მიზანია სარკესა და ინსტრუმენტებს აარიდოს მზის მძლავრი გამოსხივება.

ფარის საფარი სტაბილური, ცეცხლგამძლე მასალის – კაპტონისგან შედგება. იგი ჩოგბურთის მოედნის ზომებამდე იშლება. მისი მზისკენ მიქცეული მხარე ცელსიუსის 110°-მდე ცხელდება, საპირისპირო მხარეზე კი -236°C ტემპერატურა შენარჩუნდება. ეს შესაძლებელს ხდის ტელესკოპმა შეაგროვოს და ყოველგვარი დამახინჯების გარეშე გაზომოს შორეული კოსმოსიდან სამყაროს „დაბადების“ საწყის მომენტში გამოგზავნილი ინფრაწითელი გამოსხივება და დაინახოს პირველი (უძველესი) გალაქტიკები და ვარსკვლავები, რომლებიც აფეთქებიდან პირველ მილიონ წელიწადში წარმოიქმნენ.

ოღონდ ამ ექსპედიციას სხვა, შედარებით მოკრძალებული მიზნებიც აქვს, კერძოდ, არამზისიერი (ანუ სხვა ვარსკვლავების) – ე.წ. ეგზოპლანეტების აღმოჩენა. ასევე მას შეუძლია წვლილი შეიტანოს მზის სისტემის კვლევაშიც, დააკვირდეს მარსს და იუპიტერს (შეამოწმოს ყინულის არსებობა ამ უკანასკნელის თანამგზავრ ვეროპაზე). ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად სპექტრის ხილულ და ულტრაიისფერ უბნებში „უმზერდა“ სამყაროს, ჯეიმზ ვების ტელესკოპი აკვირდება ინფრაწითელი უბნის გრძელტალღოვან გამოსხივებას. ამ დიაპაზონის ტალღები ადვილად ატანს (მოკლეტალღოვანი გამოსხივებისგან განსხვავებით) ღრუბლებით დაფარულ ადრინდელ სამყაროში არსებულ მტვერში და სამყაროს უძველესი ეტაპის მკაფიო გამოსახულებას გვიჩვენებს.



ჯეიმზ ვების ტელესკოპი კოსმოსში ციურ სხეულთა ფონზე

თუ რა კავშირია გამოსხივების ტალღის სიგრძესა და ამ გამოსხივების გამომგზავნი ციური სხეულის ასაკს შორის, ამას დოპლერის ფიზიკური ეფექტი ხსნის.

ჯერ კიდევ ეჰაბლის მიერ გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აღმოჩენილი სამყაროს გაფართოების კანონის თანახმად, გალაქტიკათა მთელი სისტემა ფართოვდება სივრცის ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერი მიმართულებით. ამასთან „ცენტრიდან“ (პრაქტიკულად ნებისმიერი წერტილი სამყაროს „ცენტრია“) რაც უფრო მეტ მანძილზეა გალაქტიკა, მით მეტი v ხაზოვანი სიჩქარით შორდება იგი „ცენტრს“; ამას ასახავს ფორმულა: $v=H \cdot r$, სადაც H ანუ გაფართოების მაჩვენებელი (გრადიენტი) ე.წ. ჰაბლის მუდმივაა. მაგრამ, ამასთანავე, რაც უფრო შორსაა ჩვენგან გალაქტიკა, მით უფრო დიდი ხნის მერე აღწევს დედამიწეზე დაშვებულამდე მისი სხივები. დოპლერის ეფექტი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ გამოსხივების წყარო შორდება დამკვირვებელს v სიჩქარით, მასში მომხდარი ნებისმიერი ელემენტარული პროცესის შედეგად დამკვირვებლისადმი გამოგზავნილი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ტალღის სიგრძე $\Delta\lambda$ სიდიდით მეტია, ვიდრე იქნებოდა დამკვირვებლისადმი უძრავი წყაროს შემთხვევაში, ამასთან $\Delta\lambda$ დამკვირვებლისადმი წყაროს v სიჩქარისა და მისი λ ტალღის სიგრძის პირდაპირპროპორციულია: $\Delta\lambda=\lambda v/c$, სადაც c სინათლის სიჩქარეა. დავამატოთ ამას, რომ რაც უფრო ადრინდელ ეტაპზე წარმოქმნილი ამჟამად ჩვენ მიერ დაფიქსირებული რომელიმე გალაქტიკის გამოსხივება, მით უფრო შორს იქნება ეს გალაქტიკა ამჟამად ჩვენგან, და მით უფრო დიდი v სივრცითი სიჩქარეც ექნება მას ზემომოყვანილი $v=H \cdot r$ ჰაბლის კანონის თანახმად (სხვანაირად, ეს გალაქტიკა ჩვენგან დიდ მანძილზე სწორედ იმიტომ, რომ იგი დიდი სიჩქარით მოძრაობს). ანუ, მეტაგალაქტიკის ადრეულ ეტაპზე წარმოქმნილ და ჩვენამდე დღევანდელ ეპოქაში მოღწეულ შორეულ გალაქტიკათა გამოსხივებას დიდი წითელი წანაცვლება და, შესაბამისად, დიდი ტალღის სიგრძე-

ბი ექნება, სხვანაირად, იგი ინფრაწითელი იქნება. რომ შევაჯამოთ, შედარებით ახლო წარსულში გამოსხივებული (ანუ ახლობელ გალაქტიკათა) გამოსხივება ხილულ უბანში იქნება კონცენტრირებული, უძველესი (უჩქარესი) გალაქტიკებისა კი ინფრაწითელ უბანში, სადაც გარემოს გაუმჭვირვალობა მინიმალურია – ამიტომაც უძველესი გალაქტიკები დაუმზერადი სპექტრის ხილულ დიაპაზონში და ხილვადი ინფრაწითელი უბნის წყალობით, და ამ სპექტრული უბნის ხელსაყრელობაც ამითაა ნათელი.

ვების ტელესკოპს რომ დავუბრუნდეთ, მისი გაშვებიდან მეორე კვირაში დადგა სარკის გაშლის დრო, მის მიერ საბოლოო კონფიგურაციის მიღების მერე კი საჭირო იქნებოდა ინსტრუმენტთა გაციება და კალიბრაცია. რაც შეეხება დაკვირვებათა დაწყების ჟამს, იგი 2022 წლის ივნისის ბოლოს უნდა დამდგარიყო. პირველ დაკვირვებათა მასალები კიდევაც გამოქვეყნდა.

ამრიგად, ჯეიმზ ვების ტელესკოპი მზის გარშემო ორბიტაზე მოძრაობს და მუდამ დედამიწის ღამის მხარეზე იქნება. პაბლის ტელესკოპი, როგორც ვიცით, უბრალოდ დედამიწას უვლიდა გარშემო.

ამ ტელესკოპის შექმნის იდეა გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა. მშენებლობა 2004 წელს დაიწყო, გაშვება კი 2007 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ იგი რამდენჯერმე გადაიდო ტელესკოპის კომპლექსურობის მიღწევის საბაბით. ესაა ნასას, ევროპული და კანადის კოსმოსური სააგენტოების პროექტი. მის განხორციელებაზე 10 000-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა, დანახარჯებმა კი 10 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

გამოცხადდა, რომ ჯეიმზ ვების ტელესკოპი ვარსკვლავთშორისეთის სივრცეში არსებულ წყალსაც მოძებნის. ვარაუდობენ, რომ მოლეკულურ ღრუბელთა სიღრმეში მტვრის ნაწილაკები ეფარება გამანადგურებელ ულტრაიისფერ გამოსხივებას და ამით ხელს უწყობს H-ისა O-ს ურთიერთქმედებით წყლის წარმოქმნას. ვების ტელესკოპი შეისწავლის

წყლის კოსმოსურ რეზერვუარებსაც. ასევე გაარკვევს სიცოცხლისთვის ხელსაყრელ პლანეტათა წარმოშობის საკითხს. კოსმოსურ სივრცეში არსებულ მოლეკულურ ღრუბლებში არის მტვერი, აირი, ასევე H_2 და ნახშირბადის შემცველი ორგანული მოლეკულები. ამ ღრუბლებშია სამყაროში არსებული წყლის უდიდესი ნაწილიც. მათში მტვრის ნაწილაკებზე ხდება H-ის და O-ს შეკავშირება და H_2O -ს წარმოქმნა. ნახშირბადი C და წყალი H_2O მეთანს წარმოქმნის, H და N კი ამიაკს. ამ მოლეკულურ ღრუბლებში მტვრის ზედაპირზე იქმნება თოვლის ფიფქები, მერე ისინი ცვივა ამ ღრუბლებში წარმოქმნილ პლანეტებზე და მათ წყლით ამარაგებს. ამ ყინულების ჯამური რაოდენობის შეფასება დაგვიდგენს, არის თუ არა ვარსკვლავთა და პლანეტათა მთლიან სისტემაში სიცოცხლის წარმოშობის პოტენციური შესაძლებლობა – ასეთია მ. მაკლარის (ამსტერდამის უნივერსიტეტის მკვლევარი) მსჯელობის სქემა.

მკვლევართა ჯგუფები ამ ტელესკოპის მეშვეობით განახორციელებენ ყინულთა კვლევას კონკრეტულ ტალღის სიგრძეებში, ასევე კონკრეტულ ვარსკვლავთწარმომქმნელ კომპლექსში (სამხრ. ცის ქამელეონის თანავარსკვლავედი, მზიდან 500 სინათლის წლის მანძილზე), სადაც ასეულობით პროტოვარსკვლავი ფორმირდება მილიონ წელზე ნაკლებ ხანში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯეიმზ ვების ობსერვატორია, რომელმაც ინტენსიური მუშაობა დაიწყო, შესაძლებლობითაც და საკვლევი თემატიკითაც ნამდვილად თანამედროვე ასტრონომიის უაღრესად ღირშესანიშნავი მოვლენაა.

ქროლიან ჰერშელი – ლეზბიანური ასტრონომი ქალი

ანდრია როგავა

ვინ იყო პირველი ქალი, რომელიც ხელფასს იღებდა როგორც მეცნიერი?! პირველი ქალი ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში, რომელსაც ოფიციალური თანამდებობა ეკავა; პირველი ქალი, რომელმაც სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების განთქმულ ჟურნალში Philosophical Transactions; პირველმა მიიღო სამეფო ასტრონომიული საზოგადოების ოქროს მედალი და პირველი გახდა ამავე საზოგადოების საპატიო წევრი!? ყველა ეს მიღწევა და ღირსება ერთ, მართლაც ლეზბიანურ, ქალს ხვდა წილად, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად ცნობილი. ეს წერილი ამ არაჩვეულებრივი პიროვნების საინტერესო და სახელოვან ცხოვრებას ეხება. მისი სახელია **ქროლიან ლუკრეტია ჰერშელი** (Caroline Lucretia Herschel).



ეს საოცარი ადამიანი 1750 წლის 16 მარტს ჰანოვერში დაიბადა. იგი სამხედრო ორკესტრის მუსიკოსის, თვითნასწავლი ჰობოისტის ისაკ ჰერშელის და მისი ერთგული მეუღლის, ანნა-ილსე მორიტცენის მერვე შვილი (მეოთხე ქალიშვილი) იყო. ჰერშელის გვარი წარმოშობით საქსონიდანაა. ისაკი თავის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებაში როგორღაც ათავსებდა მრავალშვილიან მამობას, მუსიკას და ომებს. იგი ჰანოვერის არმიაში მსახურობდა, ავსტრიული იმპერიის ომების ომში მონაწილეობდა და მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად ხელში იარაღის მაგივრად ჰობოი ეჭირა, გეტინგენის

ბრძოლაში (1743 წელს) ისე მიიმედ დაიჭრა, რომ ცხოვრების ბოლომდე ავადმყოფი დარჩა. ჰერშელების ოჯახს მატერიალურად არ უღიხნდა, ბავშვებმა მხოლოდ პირველადი განათლება მიიღეს. ისაკ ჰერშელი ომისგან და მუსიკისგან თავისუფალ დროს რაღაც-რაღაცეებს ასწავლიდა შვილებს, თუმცა უფრო მეტ დროს და ყურადღებას მაინც ბიჭების განათლებას უთმობდა.

ათი წლის ქეროლაინს ტიფი დაემართა, რამაც პატარა გოგონა კინადამ შეიწირა; ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ ამ მიიმე ავადმყოფობამ შეაფერხა მისი ზრდა და 130 სანტიმეტრი სიმაღლის დარჩა. ტიფმა მას მარცხენა თვალით მხედველობა საგრძნობლად დაუქვეითა. ოჯახმა ჩათვალა, რომ საბრალო, სუსტი აღნაგობის ქეროლაინი ვერასდროს გათხოვდებოდა. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ პატარძლის შესაფერისი განათლება მიეცათ, გადაწყვიტეს მოსამსახურის უნარ-ჩვევები ესწავლებინათ მისთვის. მამას ებრალებოდა პატარა ავადმყოფი გოგონა და ხანდახან უფლებას აძლევდა ვიოლინოზე დაეკრა ძმებთან ერთად და ჭრა-კერვის გაკვეთილები აელო მეზობლებისგან.

მამის გარდაცვალებისას ქეროლაინის უფროსი ძმები, უილიამი და ალექსანდრე, უკვე ინგლისში, ქალაქ ბათში ცხოვრობდნენ. უილიამი ამ დროს მუსიკოსობდა -- ეკლესიაში გუნდის რეგენტად მუშაობდა. მან ალბათ თავისი ცხოვრების ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა პატარა დას შესთავაზა ერთად ეცხოვრათ. მან მოახერხა ცოტა არ იყოს სასტიკი დედის „კლანჭებიდან“ მისი გამოხსნა და 1772 წელს ჰანოვერიდან ინგლისში ჩამოიყვანა. ქეროლაინმა ძმის სახლის მოვლა-პატრონობას მოჰკიდა ხელი. უილიამი ამ პერიოდში აქტიურად და წარმატებით მუსიკოსობდა: ერთ ეკლესიაში ორგანიზტად, მეორეგან კი ქორმაისტერად მუშაობდა, ჰყავდა რამდენიმე მოსწავლე, რომლებსაც ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა და ქალაქის კონცერტების ორგანიზებაში იყო ჩართული. და-ძმა ჰერშელები ნიუ ქინგ სთრითის

19 ნომერში ცხოვრობდნენ. ეს ის სახლია, რომელშიც დღეს *ჰერშელის ასტრონომიის მუზეუმი* (Herschel Museum of Astronomy) მდებარეობს.

ქეროლაინი ინგლისურში მოიკოჭლებდა. და ახალ გარემოსთან სრულფასოვნად შეგუება უძნელდებოდა, მაგრამ მზრუნველი ძმის დახმარებით და თავისი ფანტასტიკური შრომისმოყვარეობის და მიზანდასახულობის წყალობით სწორედ ამ პერიოდში მან, როგორც პიროვნებამ, საოცარი მეტამორფოზა განიცადა. უილიამი მას სიმღერაში, ინგლისურში და არითმეტიკაში ამეცადინებდა, ადგილობრივ მასწავლებელთან კი ცეკვის გაკვეთილებს იღებდა. ამავე პერიოდში ქეროლაინმა კლავესინზე დაკვრაც ისწავლა და ძალიან მალე უილიამის მუსიკალურ აქტივობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებულ წარმატებებს ვოკალში მიაღწია და 1778 წელს, ჰენდელის ორატორია „მესიაში“ პირველი სოლისტის ამპლუაში გამოსვლის შემდეგ, ფესტივალის გუნდში მიიწვიეს! მაგრამ ქეროლაინს ძალიან უშლიდა ხელს თავმდაბლობა, პირადი მუსიკალური ამბიციების უქონლობა. თავის მუსიკალურ კარიერას იგი მხოლოდ უილიამის გვერდით ხედავდა და სისტემატურად ამბობდა უარს სხვა დირიჟორებთან მუშაობაზე. არც უილიამი იყო დიდად მოწადინებული მუსიკაში ახალი მწვერვალების დაპყრობაზე, ვინაიდან ამ დროს უფრო და უფრო მეტ დროს უთმობდა თავისი ცხოვრების ახალ და, როგორც გამოირკვა, მთავარ გატაცებას – ასტრონომიას!

უნდა ითქვას, რომ უილიამის გარდასახვა კარგი მუსიკოსიდან გენიალურ ასტრონომად კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი მაგალითია პიროვნების გამორჩეულად მკვეთრი და წარმატებული ტრანსფორმაციისა. ამ ფანტასტიკურ გარდაქმნაში, როგორ ჩანს, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მისმა უერთგულესმა დამ, ქეროლაინმაც შეიტანა. მრავალი წლის შემდეგ, ქეროლაინი ჩვეულებრივ თავმდაბლობით და იუმორით, თავის მემუარებში წერდა: „*ჩემი ძმისთვის არაფერი გამიკეთებია ისეთი, რასაც კარგად*

გაწრთვნილი ლეკვი ვერ გააკეთებდა, ანუ, ვაკეთებდი იმას, რასაც მიბრძანებდა.“ თანდათან თავად ქეროლაინიც დაინტერესდა ასტრონომიით და 1770-იან წლებში და-ძმის ცხოვრებაში საოცარი ცვლილებები მოხდა. უილიამი უფრო და



უფრო დაოსტატდა ტელესკოპების მშენებლობაში. მას აღარ აკმაყოფილებდა იმ ოპტიკის ხარისხი, რომლის შეკვეთა და შექმნა ინგლისში შეიძლებოდა და ამიტომ თავად დაიწყო ლინზების და სარკეების დამზადება! ეს უაღრესად შრომატევადი, ხანგრძლივი, უწყვეტი და მომქანცველი პროცესია. შესვენების გარეშე, მრავალი საათი უნდა აპრიალო სარკის ზედაპირი შეუწერებლივ, თორემ მთელი ნამუშევარი წყალში ჩაგეყრება. ასე რომ, სანამ უილიამი ოპტიკურ ლინზებს და სარკეებს ამზადებდა, ქეროლაინი მას ხშირად თავისი ხელით აჭმევდა საჭმელს და წიგნებსაც უკითხავდა! აი ასე, თითქოსდა გროტესკულად, მაგრამ არსებითად კი თავდადებულად და თავგანწირვით მუშაობდნენ და-ძმა ჰერშელები და ეს უმაგალითო შრომა დაუფასდათ კიდევ. 1781 წლის მარტში, მას მერე რაც მათ მიერ წამოწყებული ქულების სამკერვალო სახელოსნოს ბიზნესი ჩავარდა, ისინი ახალ სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად და სწორედ აქ, 13 მარტის ღამეს, გააკეთა უილიამ ჰერშელმა მისი ცხოვრების ყველაზე დიდი აღმოჩენა: თავის ახალ, მის მიერვე აგებულ, ტელესკოპში მან პირველად დაინახა მანამდე უცნობი პლანეტა – ურანი! თავიდან უილიამს იგი კომეტა ეგონა, მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა რომ ეს ახალი, მზის სისტემის რიგით მეშვიდე პლანეტა იყო! ბუნებრივია, რომ ამ დიდმა აღმოჩენამ უილიამ ჰერშელი ერთბაშად აქცია მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერად, დიდი და დამსახურებული აღიარება მოუტანა მას.

საკვირველი ისაა, რომ ასტრონომიის ისტორიაში ამ აღბათ ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენის შემდეგ და-ძმა ჰერშელე-ბი კიდევ დაახლოებით ერთი წელი აგრძელებდნენ მუსიკა-ლურ წარმოდგენებს, მაგრამ 1782 წელს მეფე გეორგ მესამემ უილიამ ჰერშელს სამეფო ასტრონომის პრესტიჟული და კარგად ანაზღაურებადი პოსტი შესთავაზა, რის შემდეგაც უი-ლიამ ჰერშელს უკვე შეეძლო მთლიანად თავისი ახალი და უსაყვარლესი საქმისა და გატაცების – ასტრონომიისთვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება.

უილიამ ჰერშელი და მისი გამაოგნებელი მეცნიერული ბიოგრაფია ცალკე დიდი სტატიის თემაა. უდავოა, რომ ეს თვითნასწავლი ჰანოვერელი გენიოსი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი, წარმატებული და სახელოვანი ას-ტრონომია. საოცარია და ნიშანდობლივია, რომ მისი ინ-ტერესი ასტრონომიისადმი თავიდან მხოლოდ გატაცებაში, დამით ცის თვალიერებაში გამოიხატებოდა. რიჩარდ ჰოლ-მისი თავის წიგნში „The Age of Wonder“ [1] წერს, რომ დილით, საუზმეზე, უილიამი უყვებოდა ხოლმე ქერო-ლაინს წინა დამით დანახულის და ნასწავლის შესახებ. ასტრონომიით გატაცება ორივესთვის ცხოვრების მთა-ვარ საქმედ იქცა. უილიამმა თანდათან ისე დახვეწა და სრულყო ტელესკოპების კონსტრუირების მისეული მეთოდები, რომ მსოფლიო მასშტაბით უძლიერესი ტე-ლესკოპების შემქმნელ ოსტატად იქცა. ქეროლაინი ძმის ერთგული თანაშემწე გახდა და არა მარტო სრულყოფი-ლი ობიექტივების, ოკულარების და სარკეების დამზადება ისწავლა, არამედ თანდათან ასტრონომიული დაკვირვებე-ბის შედეგების აღრიცხვაში და კატალოგების შედგენაში დაოსტატდა, პროფესიონალ ასტრონომად ჩამოყალიბდა.

მას მერე, რაც უილიამი სამეფო ასტრონომი გახდა, და-ძმას მალაქულტურულ, მუსიკალური სულისკვეთებით გაუღენთილ ქალაქ ბათიდან პატარა პროვინციულ დათ-ჩეთში მოუწიათ გადასვლა უინძორის სასახლის მიდამოებში,



34 *Archives*
*

Augt 18, 1789

20^h 5' Sid. Time.
I suspect the object in the figure to be a comet

21 30 I do not perceive any change in its situation; but there is a very strong Aurora borealis, and the weather hazy; I can hardly see the object any longer.

22 ... Cloudy.

Augt 19, 1789.

The object I saw last night is fixed. It is none of the Nebulae of the Const. or Tempus. therefore I suppose it to be one of my brother's great number have been discovered by him in that night's track. Cloudy

Oct. 15, 1789.

1^h 30' Sid. Time.
I saw the 5th satellite, but forget to mark it.

სამეფო კართან ახლოს. უილიამის, როგორც სამეფო ასტრონომის, ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო ცნობისმოყვარე მეფესთან ახლოს ყოფნა, როცა კი მონარქს თავისი საპატიო სტუმრების ასტრონომიული დაკვირვებებით გართობა და გაოცება დასჭირდებოდა. თავიდან ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. სახლი, რომელიც მათ იქირავეს ძველი იყო და მოუვლელი, ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა. უილიამი ყველაფრის მიუხედავად გატაცებით მუშაობდა: სამი ათასი ვარსკვლავის დიდ კატალოგს ადგენდა, ორმაგ ვარსკვლავებს სწავლობდა და ორი ყველაზე საოცარი ვარსკვლავის – მირას და ალგოლის – ცვალებადობის მიზეზის გარკვევას ცდილობდა.

ქეროლაინი კი, არა მარტო ძმის დავალებით, არამედ თანდათან უკვე თავისი სურვილითაც, მეთოდურად „ხვეტდა“ ცას ძმის მიერ სპეციალურად მისთვის კონსტრუირებული შედარებით მცირე ზომის ტელესკოპით და საინტერესო, აქამდე აღმოუჩენელ ობიექტებს ეძებდა. ბათის მუსიკალური კულტურით და კონცერტებით გაჯერებული ატმოსფეროს შემდეგ ქეროლაინს თავიდან დიდად არ მოსწონდა დათჩეთში ტელესკოპთან გატარებული თითქოსდა ერთფეროვანი ღამეები -- იგი იზოლირებულად და მარტოსულად გრძნობდა ხშირად თავს. მაგრამ თანდათან პატარა სასწაული მოხდა – ქეროლაინი ძმასავით ასტრონომიით „შეპყრობილი“ ადამიანი გახდა.

1782 წელს ქეროლაინმა დამოუკიდებლად დაიწყო დაკვირვებები და თავისი შედეგების სპეციალურ რვეულებში შეტანა. დღეს მისი ეს ჩანაწერები ჰერშელის „საგანძურის“ ნაწილია, რომელიც ლონდონში, სამეფო ასტრონომიული საზოგადოების არქივში ინახება [2]. აღმოჩენებმაც არ დააყოვნა. უკვე შემდეგი წლის თებერვალში, ერთი ღამის დაკვირვებებისას მან ერთბაშად ორი ახალი ნისლეული აღმოაჩინა. ამათგან ერთი იყო ობიექტი, რომელსაც მოგვიანებით მესიეს კატალოგში 110-ე ნომერი მიენიჭა (M110, ანუ NGC 205). ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა პატარა დამ თავისი უფროსი, უფრო სახელოვანი ძმა გააკვირვა და დააფიქრა. უღიაში მიხვდა, რომ ნისლეულების ძიება შესაძლოა უფრო პერსპექტიული საქმე იყო, ვიდრე ორმაგი ვარსკვლავების დაკვირვება. თანდათან უღიაში და ქეროლაინი ნამდვილი თანაავტორები და კოლეგები გახდნენ.

1783 წლიდან და-ძმა უკვე ორი ტელესკოპით მუშაობდა: ქეროლაინი ძმის მიერ აგებული, მის მცირე სიმაღლეს მორგებული პატარა ტელესკოპით კომეტებს, ხოლო უღიაში კი თავისი საუკეთესო ტელესკოპით ნისლეულებს აკვირდებოდა და ქეროლაინთან ერთად ახალი კატალოგის შედგენაზე მუშაობდა. იგი მიხვდა, რომ ძალიან რთული იყო ერთდროულად დაკვირვებაც და შედეგების ზუსტად აღრიცხვაც, ამიტომ

დახმარება კვლავ ქეროლაინს სთხოვა. და-ძმა ჰერშელების „დუეტი“ ასე მუშაობდა: ქეროლაინი ფანჯარასთან იჯდა, უილიამი კი გარედან ტელესკოპით ცას აკვირდებოდა, უყვიროდა დას დანახული ობიექტის კოორდინატებს, ის კი მათ იწერდა. მეზობლებს თავიდან ცოტა არ იყოს ეშინოდათ უილიამის დამის „დრიალისა“, მაგრამ შემდეგ შეეჩვივნენ და პირიქით, კმაყოფილნი გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს: „ამ დამით მოწმენდილი ცაა, მისტერ ჰერშელი მუშაობს...“. მეზობლებმა არ იცოდნენ, რომ სამუშაოს არანაკლებ რთულ ნაწილს ქეროლაინი ასრულებდა. საბაზისო ვარსკვლავების კოორდინატებს ჰერშელები პირველი „სამეფო ასტრონომის“, ჯონ ფლემსტიდის კატალოგიდან იღებდნენ, მაგრამ იქ ვარსკვლავები ძველმოდურად, თანავარსკვლავებებად იყო დალაგებული და ეს ნაკლებად მოხერხებული იყო უილიამისთვის. ამიტომ თანდათან ქეროლაინმა ვარსკვლავების ახალი კატალოგის შედგენასაც მიჰყო ხელი.

რაც შეეხება ქეროლაინის დამოუკიდებელ დაკვირვებებს, აქ მან ყველაზე დიდ წარმატებებს კომეტებზე „ნადირობაში“ მიაღწია. ხანდახან წერენ, რომ ქეროლაინ ჰერშელი იყო პირველი ქალი, რომელმაც კომეტა აღმოაჩინა. ეს სწორი არაა, ვინაიდან გოტფრიდ კირხის მეუღლემ, მარია კირხმა, კომეტა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში იპოვა, მაგრამ მისი აღმოჩენა ქმრის სახელს მიეწერა. ქეროლაინ ჰერშელი კი უდავოდ პირველი ქალი იყო, ვისი აღმოჩენებიც მსოფლიომ აღიარა. 1786-1797 წლებში მან საერთო ჯამში რვა კომეტა აღმოაჩინა! პირველად ეს 1786 წლის 1 აგვისტოს მოხდა, როცა უილიამი სხვაგან იყო გამგზავრებული და ქეროლაინს ძმის „მთავარი“ ტელესკოპი „ჩაუვარდა“ ხელში. ახალ-ახალი კომეტები მან აღმოაჩინა ასევე 1788, 1790 (ორჯერ), 1795 და 1797 წლებში. საბოლოო ჯამში ქეროლაინ ჰერშელი ოფიციალურად ითვლება ხუთი კომეტის პირველადმოაჩენად, რასაც ადასტურებენ მისი პუბლიკაციები ჟურნალში “Philosophical Transactions”. ამავე დროს მან პიერ მეშენისგან დამოუკიდე-

ბლად აღმოაჩინა ის ცნობილი კომეტა, რომელიც დღეს ენკეს სახელს ატარებს. უილიამს ეამაყებოდა დის მიღწევები. მეფეს რომ ეახლებოდა და მორიგ აღმოჩენილ კომეტას აჩვენებდა ტელესკოპში, ყოველთვის ხაზგასმით ამბობდა „ეს ჩემი დის კომეტა“. გეორჯ მესამე იმდენად გააოცა ქეროლაინის მიღწევებმა, რომ უკვე 1787 წელს დაუნიშნა მას, როგორც უილიამის ასისტენტს ხელფასი, 50 გირვანქა სტერლინგი წელიწადში (2022 წლის კურსით ეს 6800 გირვანქას შეესაბამება). ამ აქტით გეორჯ მესამემ ისტორიული ნაბიჯი გადადგა: ქეროლაინ ჰერშელი იქცა პირველ ქალად, რომელმაც ოფიციალური თანამდებობა დაიკავა ინგლისში და გახდა პირველი ქალი, რომელსაც ხელფასს უხდიდნენ ასტრონომიული სამუშაოსთვის!

ქეროლაინის დღიურებიდან ნათელია რომ მას არ უნდოდა მუდამ უილიამის ასისტენტის როლში ყოფნა და მეტი დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდა. უნდოდა ისეთი შემოსავალი ჰქონოდა, როგორც მეცნიერს, რომ ადარ ყოფილიყო მატერიალურად ძმაზე დამოკიდებული. ერთი რამ ნათელია: სამეფო კარმა მას ხელფასი დაუნიშნა, როგორც უილიამ ჰერშელის ასისტენტს და იგი პირველი ხელფასის მქონე მეცნიერი ქალი გახდა. ეს ის ეპოქაა, როცა პრაქტიკულად არ არსებობდა არანაირი სამეცნიერო ინსტიტუტები თუ ლაბორატორიები -- ხელფასის მქონე მკვლევარი მეცნიერი მამაკაციც კი ცოტა იყო მაშინდელ ევროპაში!

რაც შეეხება ფლემსტიდის კატალოგს, იგი აშკარად საჭიროებდა გაუმჯობესებას. უილიამი იმასაც ხედებოდა თუ როგორ უნდა გაკეთებულიყო ეს, მაგრამ დრო ენახებოდა ამაზე, ვინაიდან სხვა, უფრო საინტერესო ასტრონომიულ ამოცანებზე ფიქრობდა. ამიტომ ეს საქმე მან ქეროლაინს „გადაულოცა“. ერთგულმა დამ ოცი თვე მონადრომა ამ ურთულეს საქმეს და შედეგად იშვა *Catalogue of Stars, Taken from Mr. Flamsteed's Observations Contained in the Second Volume of the Historia Coelestis, and Not Inserted in the British Catalogue*. სამეფო საზოგადოებამ ეს ტომი 1798 წელს გამოსცა. იგი მოიცა-

ვდა ფლემსტიდის მიერ დაკვირვებული ყველა ვარსკვლავის შესწორებულ და დაზუსტებულ კოორდინატებს, შეცდომების გასწორებებს და 560-ზე მეტი ისეთი ვარსკვლავის აღწერას, რომლებიც ფლემსტიდს „გამოეპარა“.

1788 წელს უილიამი მდიდარ ქერივზე, მერი პიტზე დაქორწინდა. თავიდან რძალს და დას შორის ურთიერთობა უღრუბლო არ იყო. ქეროლაინს ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც ეჭვიან, მწარე ენის მქონე ქალს, რომელიც ძმას აღმერთებდა და რძალს კი ცოტა არ იყოს ამპარტავნულად ექცეოდა. მაგრამ უილიამის ქორწინებამ ქეროლაინისთვის დადებითი ცვლილებებიც მოიტანა. რინარდ ჰოლმსი თავის წიგნში წერს, რომ ქორწინების შემდეგ ქეროლაინმა რძალს გადაუღოცა დიასახლისობის ფუნქციები და უფრო მეტად შეძლო დრო და ყურადღება მეცნიერებისთვის დაეთმო. ქეროლაინი ახლა უკვე ცალკე სახლში ცხოვრობდა, მაგრამ ძმის სანახავად მაინც ყოველდღე მიდიოდა, ვინაიდან მათ უამრავი სამეცნიერო სამუშაო ჰქონდათ. ასეა თუ ისე, უილიამი მაინც უფროსი იყო და დიდწილად სწორედ ის წარმართავდა ყველაფერს. ქეროლაინმა თავად გაანადგურა 1788-1798 წლების დღიურები, ასე რომ რას ფიქრობდა და რას განიცდიდა იგი ამ ათწლეულში შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. ფაქტია, რომ ძმისგან დისტანცირებამ მას შესაძლებლობა მისცა დამოუკიდებელ მეცნიერად ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ამის აღიარება მოხდა 1799 წელს, როცა სამეფო ოჯახმა იგი პირადად მიიწვია გრინვიჩის ობსერვატორიაში ერთი კვირით. სამეცნიერო სამყარომ უკეთ გაიცნო ქეროლაინ ჰერშელი არა მხოლოდ როგორც განთქმული ძმის ერთგული ასისტენტი, არამედ როგორც დამოუკიდებელი, შესანიშნავი მეცნიერი ქალი.

თანდათან ურთიერთობა ძმასთან და მის ოჯახთან მოწესრიგდა. იგი ხშირად სტუმრობდა მათ, ძალიან უყვარდა თავისი ძმისშვილი ჯონი, რომელიც პატარაობიდან ავლენდა ასტრონომიისადმი ინტერესს. ამ წლებიდან უკვე შემორჩენილია





ქეროლანის და ძმის ცოლის, ღვდი ჰერშელის მიმოწერა, საიდანაც ჩანს რომ დაძაბული პირველი ათწლეულის შემდეგ მათი ურთიერთობა თბილი და მეგობრული გახდა.

ბევრმა არ იცის, რომ ასტრონომიულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კატალოგი, რომელიც „დიდი ზოგადი კატალოგის“ (NGC ანუ New General Catalogue) სახელს ატარებს, ასევე ქეროლან პერშელს უკავშირდება. მისი პირველი გამოცემა სწორედ ქეროლანმა მოამზადა 1802 წელს, მაგრამ ჟურნალში “Philosophical Transactions of the Royal Society” იგი უილიამის სახელით დაიბეჭდა [2]. კატალოგი მოიცავდა და-ძმა პერშელების მიერ აღმოჩენილი ხუთასამდე ახალი ნისლეულის და ვარსკვლავთა გროვის კოორდინატებს და მოკლე აღწერილობებს, რაც დაემატა ამ დროისთვის უკვე ცნობილი ორი ათასი ანალოგიური ობიექტის სიას. ქეროლანმა ეს ორი ათას ხუთასი ობიექტი მსგავსი პოლარული მანძილების ზონების მიხედვით დაალაგა, რამაც მის ძმისშვილს ჯონ პერშელს საშუალება მისცა ყველა მათგანი სისტემატურად გამოეკვლია. ეს მონუმენტური შრომა კიდევ არაერთხელ შეივსო და სახელად New General Catalogue ეწოდა. დღემდე, როცა საუბარია ამა თუ იმ გროვაზე თუ ნისლეულზე, მათი მოხსენიება ხშირად სწორედ NGC-ს მიხედვით ხდება.

1822 წელს ულიამი გარდაიცვალა. ქეროლაინისთვის ეს დიდი დარტყმა იყო -- მთელი სიცოცხლის მანძილზე მას ძმაზე უფრო ახლობელი ადამიანი არ ჰყოლია. ქეროლაინი მშობლიურ ჰანოვერში დაბრუნდა, ამჯერად უკვე როგორც ევროპული მასშტაბის აღიარებული მეცნიერი და გააგრძელა მუშაობა უილიამთან ერთად დაწვებულ პროექტებზე. დიდ დახმარებას უწევდა იგი ასევე თავის ძმისშვილს, ახალგაზრდა ჯონ ჰერშელს. ჰანოვერი დიდი ქალაქია, იქიდან ასტრონომიული დაკვირვებების წარმოება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ბათიდან და გრინვიჩიდან. ამიტომ უკვე ასაკში შესულმა ქეროლაინმა თავისი სამეცნიერო აქტივობის ფოკუსი კატალოგების შედგენასა და სისტემატიზაციაზე გადაიტანა. ბრიტანეთში ქეროლაინი არ დავიწყებიათ. 1828 წელს სამეფო ასტრონომიულმა საზოგადოებამ მას ოქროს მედალი გადასცა (საგულისხმოა რომ ქეროლაინი პირველი ქალი იყო, ვინც ეს ჯილდო მიიღო და მას შემდეგ არც ერთ ასტრონომ ქალს მსგავსი მედალი არ მიუღია 1996 წლამდე, როცა ასეთივე მედალი ამერიკელმა ასტრონომმა ვერა რუბინმა მიიღო). უილიამის შვილი, ჯონ ჰერშელი ამ პერიოდში უკვე ბრიტანეთის წამყვანი ასტრონომი გახდა. როგორც უკვე ვთქვით, პირველი გაკვეთილები ძმისშვილს ასტრონომიაში სწორედ ქეროლაინმა მისცა, როცა ფლემსტიდის ატლასით თანაგარსკვლავედების სახელები ასწავლა.

უკანასკნელი დაკვირვება ქეროლაინმა 1824 წლის იანვარში შეასრულა, როცა 1823 წლის დეკემბერში აღმოჩენილ ე.წ. „დიდ კომეტას“ დააკვირდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ქეროლაინი ფიზიკურად აქტიური და ჯანმრთელი იყო, ჰქონდა მიმოწერა ევროპულ და ამერიკელ ასტრონომებთან. ძირითადად ამ წლებში იგი მემუარეების წერით იყო დაკავებული და ხშირად ჩიოდა სიბერეს და მხედველობის სისუსტეს, რაც ხელს უშლიდა დაკვირვებების წარმოებაში.

მთლიანობაში, უილიამმა და ქეროლაინმა, როგორც ასტრონომ-დაკვირვებელთა უმაგალითო დუეტმა, ოცწლიანი



ერთობლივი მუშაობის შედეგად 2400-ზე მეტი ასტრონომიული ობიექტი აღმოაჩინა ცაზე. ქეროლაინის სახელს ატარებენ ვარსკვლავთა ღია გროვა დიდი დათვის თანავარსკვლავედში (NGC2360 – ე.წ. „ქეროლაინის გროვა“) და არანაკლებ მშვენიერი გროვა კასიოპეაში NGC7789, რომელსაც არაფორმალურად „ქეროლაინის ვარდს“ ეძახიან. ასტეროიდი 281 მისი მეორე სახელით შეამკეს („281 – ლუკრეცია“). მთვარეზე, წვიმების ზღვაში („მარე იმბრიუმ“) მდებარეობს შვიდიკლომეტრიანი რადიუსის დარტყმითი კრატერი, რომელიც ქეროლაინ ჰერშელის სახელს ატარებს. 2020 წლის 6 ნოემბერს გაშვებულ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს COSPAR 2020-079B, იგივე NuSat 10-ს კი ოფიციალურად „ქეროლაინი“ დაარქვეს.



ქეროლაინ ჰერშელმა ისეთი აღიარება დაიმსახურა, როგორც იმ ეპოქაში უმაგალითო იყო ქალი მეცნიერისთვის. როგორც უკვე ვთქვით, 1828 წელს სამეფო საზოგადოებამ მას ოქროს მედალი გადასცა უილიამ ჰერშელის მიერ წამოწყებული მონუმენტური ნაშრომის – 2500 ნისლეულის კატალოგის – დასრულების და გამოცემისთვის. ეს ნაშრომი „უპრეცედენტოა როგორც სიდიდით, ასევე მნიშვნელობით ასტრონომიული კვლევის ისტორიაში“ – ეწერა მედლის მიძღვნის ტექსტში. ეს შრომა მან უკვე ძმის გარდაცვალების შემდეგ დაასრულა, როცა საცხოვრებლად მშობლიურ ჰანოვერს დაუბრუნდა. შვიდი წლის შემდეგ 85 წლის ქეროლაინ ჰერ-

შელი სამეფო ასტრონომიულმა საზოგადოებამ თავის საპატიო წევრად აირჩია. ამდენად მერი სომერვილთან ერთად იგი ამ საზოგადოების პირველი წევრი ქალი გახდა. ორი წლის შემდეგ თავის საპატიო წევრად ქეროლანის აირჩია ასევე ირლანდიის სამეფო აკადემიამ. 1846 წელს 96 წლის ქეროლან ჰერშელს, როგორც სახელოვან მეცნიერს, პრუსიის მეფის ოქროს მედალი მიენიჭა. მედლის საზეიმო გადაცემა ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტს დაავალეს. მიძღვნაში ეწერა: „თქვენი ფასდაუდებელი ასტრონომიული წვლილის აღსანიშნავად, როგორც თქვენი უკვდავი ძმის დიდებული თანამშრომლისა, თქვენი აღმოჩენებით, დაკვირვებებით და შრომატევადი გამოთვლებით.“

ქეროლან ჰერშელი 1848 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ჰანოვერში, გარტენგემინდეს ეკლესიის სასაფლაოზე, თავისი მშობლების გვერდით. საფლავის ქვაზე წარწერაა „აქ განისვენებს ის, რომლის თვალები ვარსკვლავიერი ზეცისკენ იყო მიპყრობილი“.

ციტირებული ლიტერატურა:

1. Richard Holmes, *The Age of Wonder: How the Romantic Generation Discovered the Beauty and Terror of Science*, Harper Collins, 2008.
2. Michael D. Lemonick, *The Georgian Star: How William and Caroline Herschel Revolutionized Our Understanding of the Cosmos*, W. W. Norton & Company, 2009.



გლაზენაპის კოშკი აბასთუმანში ვინ იყო გლაზენაპი?

გ. ქურხული

ვისაც აბასთუმანში წლების წინ ყანობილის მთაზე, ასტროფიზიკური ობსერვატორიისკენ მიმავალი ხვეული გზისთვის შეუვლია თვალი, ალბათ შეამჩნევდა კლდის პირზე მდგარ ციცქნა გუმბათოვან შენობას. ეს იყო პირველი სამთო ასტრონომიული კოშკი რუსეთის იმპერიაში, რომლიდანაც ასტრონომი გლაზენაპი ტელესკოპით აწარმოებდა ციურ სხეულებზე დაკვირვებას.



კოშკი ამჟამად მთლიანად რესტავრირებულია და გადატანილია (2019 წლიდან) ე. ხარაძის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, როგორც სამუზეუმო ექსპონატი.

პიროვნება, რომლის მეცნიერულ მოღვაწეობასთანაც ეს კოშკია დაკავშირებული, სრული დასახელებით – სერგეი პავლეს ძე ფონ გლაზენაპი, იყო უმაღლესი წრის – ფონ გლაზენაპების (ცნობილია XIII ს-დან) შთამომავალი.

ს. გლაზენაპი დაიბადა 1848 წ. 25 (ძვ. სტ. 13) სექტემბერს ტვერის გუბერნიის სოფ. პავლოვსკოეში, მრავალშვილიანი საგზაო ინჟინრის ოჯახში. პატარა სერგეის მამამ გადაწყვიტა აეშენებინა თავის მამულში ხორბლეულის, კარტოფილისა და სხვა ნედლეულისაგან ღვინისა და სპირტიანი სასმელების დამამზადებელი ქარხანა, მაგრამ ვაკოტრდა.

სერგეი გლაზენაპი ჯერ (VI-ე კლასამდე) სწავლობდა ტვერის გიმნაზიაში, 1865/66 სასწ. წელს – სანკტ-პეტერბურგის VII-ე გიმნაზიაში; შემდეგ ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის უნი-

ვერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1870 წ. სწავლის პერიოდში, ყველაზე მეტად, ასტრონომია აინტერესებდა, რომელსაც პროფესორი ა. ნ. სავიჩი უკითხავდა. წარმატებული იყო აგრეთვე მათემატიკაში, რომელსაც ასწავლიდა პ. ლ. ჩეხიშევი. შრომისათვის თემაზე – „შწვევები არითმეტიკული წილადების შესახებ“ ს. გლაზენაპმა ოქროს მედალი მიიღო.

შემდგომში ს. გლაზენაპი დატოვებული იქნა უნივერსიტეტში პროფესორის წოდებისთვის მოსამზადებლად. მან დაიწყო მუშაობა 1870 წელს შტატგარეშე დამხმარე ასტრონომად პულკოვოს ობსერვატორიაში, სადაც იგი 1878 წლამდე მუშაობდა გამოთვლებზე, დელენასა და ვაგნერის ხელმძღვანელობით. 1874 წელს შრომისთვის – „იუპიტერის თანამგზავრთა დაბნელებებზე დაკვირვება“ მან მიიღო ასტრონომიის მაგისტრის ხარისხი.

1877 წლიდან ს. გლაზენაპი პრივატ-დოცენტის რანგში ლექციებს კითხულობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. სადოქტორო დისერტაცია – „რეფრაქციული დახრილობა“ მან დაიცვა 1881 წ. არა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მას წინააღმდეგობა შეხვდა ა. სავიჩის მხრიდან, არამედ, პროფ. ფ. ა. ბრედისინის რჩევით, მოსკოვის უნივერსიტეტში. შემდგომში ს. გლაზენაპმა დოცენტის თანამდებობაზე შეცვალა სავიჩი სანკტ-პეტერბურგის ასტრონომიის კათედრაზე. 1885 წ. დანიშნულ იქნა ექსტრაორდინარულ პროფესორად, ხოლო 1889 წლიდან – ორდინარულ (სრულ) პროფესორად. ამით იგი გახდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის მესამე ასტრონომიის პროფესორი. 1887-1888 წლებში იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, სადაც ლექციებს კითხულობდა 1924 წლამდე.

1879-1887 წლებში ს. გლაზენაპი კითხულობდა ზოგადი ასტრონომიის, სფერული ასტრონომიის, პრაქტიკული ასტრონომიისა და კოსმოგრაფიის კურსებს. 1881 წ. სათავეში ჩაუდგა

მისი ინიციატივით პეტერბურგის უნივერსიტეტთან დაარსებულ ასტრონომიულ ობსერვატორიას. იყო პეტერბურგის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი.

1892 წელს (44 წლის ასაკში) ს. გლაზენაპი მივლინებული იყო დაბა აბასთუმანში, სადაც მან შექმნა რუსეთში პირველი სამთო ასტრონომიული ობსერვატორია. ეს ობსერვატორია დროებითი იყო და ეკუთვნოდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტს.

1882-1997 წწ. განმავლობაში გლაზენაპი, აბასთუმნის მიმდებარე ყანობილის მთაზე მის მიერ დაპროექტებული კოშკიდან, აკვირდებოდა ორჯერად ვარსკვლავებს და ახდენდა დაკვირვებების დამუშავებას. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, როგორც რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის, გიორგი ალექსანდრეს ძის აღმზრდელ-დამრიგებელი, იმყოფებოდა აბასთუმანში, სადაც მცირე ზომის ტელესკოპით აკვირდებოდა ზემოაღნიშნულ მჭიდრო ვარსკვლავთა წყვილებს სწორედ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აშენებული კოშკიდან (ე. წ. „გიორგისეული კოშკი“, შემდგომში – „გლაზენაპის კოშკი“). გამოქვეყნებულ შედეგებს მიაქციეს ყურადღება იმ პერიოდის გამოჩენილმა ასტრონომებმა და აბასთუმნის კლიმატი, ასტრონომიული კვლევისათვის ხელსაყრელი ატმოსფერული პირობების თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს.

ს.გლაზენაპი იყო რუსეთის ასტრონომიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მისი თავმჯდომარე მრავალი წლის (1893—1905 და 1925—1929 წ) განმავლობაში.

სამეცნიერო მოღვაწეობა:

ს. გლაზენაპის ძირითადი სამეცნიერო შრომები ეძღვნება ორმაგი და ცვალებადი ვარსკვლავების კვლევას, იუპიტერის თანამგზავრების მოძრაობის შესწავლას და დედამიწის ატმოსფეროში სინათლის რეფრაქციას.

ს.გლაზენაპმა შეამჩნია რეფრაქციული ცვლილებების პერიოდულობა და განიხილა მისი ზემოქმედება ვარსკვლავთა პარალაქსებსა და აბერაციაზე. თავიდან განსაზღვრა პარალაქსები ვარსკვლავებისა: ქნარის ალფა, გედის 61 და მენახირის ალფა. წამოაყენა ვარსკვლავთა ორბიტების განსაზღვრის მარტივი და მოხერხებული წესი – გრაფიკული მეთოდი, და გამოთვალა ამ ორბიტების საკმაოდ რაოდენობა. ჩაატარა რამდენიმე ათასი დაკვირვება ორმაგ და ცვალებად ვარსკვლავებზე. 1889 წელს პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ სერგეი ფონ გლაზენაპს, ორმაგი ვარსკვლავების ორბიტების განსაზღვრის ორიგინალური მეთოდისთვის, ოქროს მედალი მიანიჭა.

1873 წ. შეიმუშავა დროის განსაზღვრის მეთოდი, დამყარებული მზის სიმაღლეების დაკვირვებებზე სპეციალური ე. წ. სამხეო რგოლის საშუალებით, რომელსაც ვიცნობთ, როგორც „გლაზენაპის რგოლს“. 1874 წ. მონაწილეობდა ექსპედიციაში აღმოსავლეთ ციმბირში, მზის დისკოზე პლანეტა ვენერას გაგლაზე დასაკვირვებლად. 1887 წ. იგი ხელმძღვანელობდა ექსპედიციას იაროსლავის გუბერნიაში, მზის სრულ დაბნელებებზე დაკვირვებისთვის.

ს.გლაზენაპი იყო პიონერი ღამის დაკვირვებების სასარგებლო ასტრონომიულ პირობებში ჩატარების სწორ ორგანიზებაში ყირიმსა და კავკასიაში. როგორც აღინიშნა, მან შექმნა დროებითი ობსერვატორია საქართველოს დაბა აბასთუმანში, მთა ყანობილზე, სადაც მოგვიანებით – 1932 წელს, დაარსდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ს. გლაზენაპი, ამასთანავე, იყო სამოყვარულო ასტრონომიის განვითარების ხელშემწყობი ენთუზიასტიც. წლების განმავლობაში კითხულობდა პოპულარულ ასტრონომიულ ლექციებს სხვადასხვა სახალხო აუდიტორიაში, რომლებიც მუდამ გადაჭედილი იყო მსმენელებით. პეტერბურგის გაზეთებში ს. გლაზენაპი ხშირად აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს მოსალოდნელი ასტრონომიული მოვლენების შესახებ, მთვარის

ვაზათა ცვლილებებსა და მთვარის და მზის დაბნელებებზე და ა. შ. ამ მიმართულებით ცნობილია, აგრეთვე, მისი არაერთი პოპულარული ბროშურა. გლაზენაპს ეკუთვნის სასკოლო და საუნივერსიტეტო წიგნები და დამხმარე სახელმძღვანელოები როგორც ასტრონომიაში, ასევე მათემატიკაში. მისმა „ლოგარიტმების ხუთნიშნა ცხრილმა“ 11 გამოცემას გაუძლო.

მას შემდეგ, რაც ს. გლაზენაპი 1895 წ. (47 წლის ასაკში) გახდა რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის მენტორი, მალევე გამოიყო ფულადი სახსრებიც უნივერსიტეტის საჭიროებისთვის, ცხრაგოჯიანი (დაახლ. 22 სმ.) რეპსოლდის რეფრაქტორის შესამყნად. აღნიშნული ტელესკოპი ზამთრობით იმყოფებოდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო ზაფხულობით ს. გლაზენაპს იგი თავის მამულში გადააქონდა (სოფ. დომკინო პეტერბურგის გუბერნიაში); ერთხელ ეს ტელესკოპი საქართველოშიც – აბასთუმანში აქონდა ჩამოტანილი, სადაც მისი დაკვირვებები, ადგილის ასტროკლიმატის გამო, საუკეთესო ხარისხისა იყო.

აღსანიშნავია, რომ ს. გლაზენაპი ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც კარგი მებაღე. მას ეკუთვნის ერთ-ერთი მცენარეული მავნებლის აღმოჩენა. იგი, ასევე, დიდ დროს უთმობდა მეფუტკრეობას. თავის ზემოხსენებულ მამულში, საიდანაც ასტრონომიულ დაკვირვებებსაც აწარმოებდა, შექმნა მეფუტკრეობის ფერმა. იყო „რუსული მეფუტკრეობის საზოგადოების“ დამფუძნებელი (1891 წ.) და მისი პირველი თავმჯდომარე. ს. გლაზენაპის შრომები მეფუტკრეობასა და მებაღეობაში, პარიზში, მსოფლიო გამოფენაზე (1900 და 1901 წლებში), დაჯილდოვდა ოქროს მედლებით. 1926 წ. გამოაქვეყნა წიგნი „Малая пасека“.

სერგეი ფონ გლაზენაპს მიღებული აქვს:

- პარიზის მეცნ. აკად. ვალსის პრემია – 1889;
- სსრკ შრომის გმირის წოდება – 1932;

- რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება;
- გლაზენაპის სახელს ატარებს – კრატერი მთვარის უხილავ მხარეზე, დიამეტრი: 39 კმ.
- გლაზენაპის სახელს ატარებს – მცირე პლანეტა (857) Glasenappia, აღმოჩენილი 1916 წ.
- „გლაზენაპის კოშკი“ – ეს არის არაფორმალური სახელი ასტრონომიული შენობისა აბასთუმანში, მთა ყანობილზე, რომელიც აშენდა ღამის დაკვირვებებისთვის, ს.გლაზენაპის ინიციატივით, 1892 წელს.
- „გლაზენაპის ობსერვატორია“, ასე უწოდებენ არაფორმალურად შენობას, რომელიც მდებარეობს თორმეტი კოლეგიის შენობის ეზოში, სადაც 1887-1937 წლებში მდებარეობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორია.

სერგეი გლაზენაპი გარდაიცვალა 1937 წლის 12 აპრილს მაშინდელ ლენინგრადში და დაკრძალულია პეტერბურგის ვიბორგის რაიონში.

ფოტოები:



გლაზენაპის კოშკი (რესტავრაციამდე)



ს. პ. ფონ გლაზენაპი



9 გოჯიანი რეპსოლდის
რეფრაქტორი
The 9 inch Repsold refractor

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა სამოქმედო გეგმაზე გამომცემისათვის	3
წლის დროების დასაწყისი	4
ზოგიერთი ქალაქის გაორგანიზებული კოორდინატები	4
ტაბელა-კალენდარი 2023 წ.	5
ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები	6
ბერძნული ანბანი	7
როგორ ვისარგებლოთ კალენდრით	7

ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ნ ა ნ ი ლ ი

ზღის ეფემერიდები, ზღის ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები	22
მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები	46
მთვარის ფაზები	50
კაჟაკა პლანეტების ხილვადობა	51
კაჟაკა პლანეტების ეფემერიდები. მათი ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები	58
სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა	68
ზღის დაბნელებანი 2023 წელს	70
მთვარის დაბნელებანი 2023 წელს	71
შესანიშნავი მეთაორული ნაკადები	72
ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი	73
ცვალებადი ვარსკვლავები	77
მონაცემები გრძელპერიოდის ცვალებად ვარსკვლავებზე დაკვირვებისათვის	77
მონაცემები ბნელელებადი-ცვალებადი ვარსკვლავის პერსეუსის β-ს დაკვირვებისათვის	78
ზოგიერთი თანავარსკვლავედის მდებარეობა ცაზე სხვადასხვა თვეში	81

მ უ ღ მ ი ვ ი ნ ა ნ ი ლ ი

რეფრაქცია	83
რეფრაქციის შესწორება ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე	84
ცნობები რამდენიმე უკავშირესი ვარსკვლავის შესახებ	85
ცნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ	86
ორჯერადი ვარსკვლავები კომონენტებს შორის გვეთვრად ბანსხვავებული ფორმით	86
ორჯერადი ვარსკვლავები	87
ღია და სფერული გროვები	88
ბნელი, დიფუზური და კლანთახის ნისლეულები	89

გალაქტიკები	90
ცნობები ულანეთებზე	91
ცნობები ულანეთათა თანამგზავრებზე	92
ცნობები დედამიწაზე, მზეზე, მთვარეზე	96
ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიდიდე	98
ფიზიკური მუდმივები	98
სიგრძისა და მანძილის ერთეულები	99
მათემატიკური სიდიდეები	99
თანაკვარსკვლავების სახელწოდებანი და აღნიშვნები	100
საშუალო დროის შუალედის ვარსკვლავიერ დროში გადასაყვანი ცხრილი	102
ვარსკვლავიერი დროის შუალედის საშუალო დროში გადასაყვანი ცხრილი	103
რაკლის გრადუსებისა და მინუტების დროის საათებსა და წუთებში გადასაყვანი ცხრილი	104

დ ა შ ა ტ ე ბ ა ნ ი

სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ)

1. კოსმონავტიკის მეორე შემოგზავნება მთვარისკენ.
2. უძლავრესი კოსმოსური ობსერვატორია კოსმოსში
შ. საბაშვილი..... 105

ქართლიან ვერხალი – ლეგენდარული ასტრონომი ქალი

ანდრია რობაგა.....117

გლაზენაჰის კოჰკი აბასთუმანში. ვინ იყო გლაზენაჰი?

გ. ქურხული.....131



თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 598 86 83 86

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani